# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 25-27 ივნისი. 2021 წ. №139-140 (9258-9259) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


## როცა წაყრუება დაუშვებელია!

**ომარ მარგველაშვილი:** როგორც რიგითი მართლმადიდებელი კატეგორიულად ვაცხადებ: რაც არ უნდა დაგვიჯდეს, თბილისში გეიაღლუმი არ უნდა ჩატარდეს! ამის გაკეთება მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია – მან ეს არ უნდა დაუშვას!

# გეიაღლუმი არ უნდა ჩატარდეს! 5

## სიტყვა მჭრელი და გულიდან ამომავალი

### ბატონ რევაზ ამაშუკელის დაბადებიდან 85 წლისთავის გამო

ღვთისა და მამულისათვის მსახურება ყოველთვის უმთავრესი თემა იყო ქართულ მწერლობაში. ბატონ რევაზ ამაშუკელის შემოქმედებაშიც ეს მიმართულება არის ძირითადი და, ამასთან, მეტად ორიგინალურად წარმოდგენილი. მისი სიტყვა ალმასივით მჭრელია და გულიდან ამომავალი.

დაბადების საიუბილეო თარიღს ვულოცავთ დიდ პოეტს და შევთხოვთ უფალს, რომ მოჰმადლოს ჯანმრთელობა, მრავალჟამიერი სიცოცხლე და შემდგომშიც ნაყოფიერი მოღვაწეობა სამშობლოს საკეთილდღეოდ!

სიყვარულითა და პატივისცემით

იხ. 7 გვ.



სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი

24.06.2021 წ.

## საქართველოს მსგავსი ქვეყნები დიდი დარტყმის ქვეშ არიან 4

## სურსათი გლობალურ ბაზრებზე ველარ გაიაფდება!

## იუსტიციის სახლი გარდაბანში

**სახელმწიფო და კერძო სექტორის 450 სერვისით სარგებლობა უკვე გარდაბნის მცხოვრებთაც შეეძლებათ. იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ გარდაბანში 26-ე იუსტიციის სახლი გახსნა. ღონისძიებას პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.**

გარდაბნის იუსტიციის სახლი ქვემო ქართლის რეგიონში მე-4 ფილიალია, რომელმაც მოძველებული, საბჭოთა პერიოდის ინფრასტრუქტურა ახალი, თანამედროვე ევროპული შენობით ჩაანაცვლა. მასში, მომსახურების სივრცეებთან ერთად, ქორწინების დარბაზიცაა განთავსებული – სადღესასწაულო დეკორაციებით გაფორმებული სივრცე წყვილებს საშუალებას აძლევს, ქორწინება საზეიმო ცერემონიალის თანხლებით დაგეგმონ.

იუსტიციის სახლი იუსტიციის სამინისტროს სერვისების სრულიად ახალი კონცეფციის მქონე საჯარო დაწესებულებაა, სადაც სახელმწიფო თუ კერძო სექტორის სერვისები სისტემურად არის თავმოყრილი. კომფორტული გარემო და მაღალკვალიფიციური პერსონალი მომხმარებლის თავაზიან, სწრაფ და ხარისხიან მომსახურებას უზრუნველყოფს.

გარდაბნის იუსტიციის სახლის ჩათვლით, მთელი ქვეყნის მასშტაბით სულ 26 იუსტიციის სახლი და 85 საზოგადოებრივი ცენტრია. იუსტიციის სახლები მომხმარებელს 450-ზე მეტ, საზოგადოებრივი ცენტრები კი 200-მდე სერვისს სთავაზობს. არსებულ სერვისებს უახლოეს პერიოდში კიდევ ერთი ინოვაციური პროექტი ე.წ. „მობილური იუსტიციის სახლები“ დაემატება. სპეციალურად აღჭურვილი ავტოტრანსპორტის და მობილური პერსონალის დახმარებით იუსტიციის სახლის სერვისები ყველაზე შორეულ და მოწყვეტილ სოფლებშიც კი ხელმისაწვდომი გახდება. მომდევნო 2 წლის განმავლობაში საქართველოს კიდევ 6 იუსტიციის სახლი და 10 საზოგადოებრივი ცენტრი შეემატება.

## მედია იწონებს მსოფლიო პატრიარქის განწყობას, 3

# გააერთიანოს ქრისტიანები!

## არქივის „ტუსაღი“ საქმეები 6

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი**

## გუჩა კვარაცხელია

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**პანაშვიდი 25 ივნისს, 16 საათზე. მისამართი დავით აღმაშენებლის გამზ. 104, III სართ., ბ. 4. გამოსვენება 26 ივნისს, 14 საათზე, სიონის საკათედრო ტაძრიდან**

## ირაკლი ღარიბაშვილი: მომდევნო წლებში მთავრობის მთავარი პრიორიტეტი რეგიონების განვითარება იქნება

**ამ შენობაში 450-ზე მეტი სერვისი იქნება ხელმისაწვდომი, ეს არის ძალიან წარმატებული პროექტი,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გარდაბანში, იუსტიციის სახლის გახსნის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

**„მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ აქ დასაქმებული ჩვენი თანამშრომლები მაღალი კვალიფიკაციით გამოირჩევიან. ვიცი, რომ მინისტრს აქვს საინტერესო ინიციატივები, ახალი იდეები, რომელზეც მუშაობს 10-წლიანი განვითარების გეგმის ფარგლებში, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს და მაღალ ხარისხიანს გახდის იმ სერვისებს, რომლითაც ჩვენი მოქალაქეები ისარგებლებენ.**

**ასევე მინდა გითხრათ, რომ ჩვენთვის მთავარი აქცენტი, პრიორიტეტი უნდა იყოს არა მხოლოდ დიდი ქალაქების, არამედ რეგიონების განვითარება. რადგან ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი რეგიონებში ცხოვრობს, ამიტომ მათ სჭირდებათ ასეთი თანამედროვე შენობები, სერვისები და ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ რეგიონების განვითარება იქნება“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## ირაკლი კობახიძე: სანქციებს დაელოდოს „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც მიშელის დოკუმენტს ხელს არ აწერს!

**ღიმილისმომგვრელია, როდესაც პარტია ხელს არ აწერს დოკუმენტს და ამ დოკუმენტზე დაყრდნობით მმართველ გუნდს სანქციებზე ესაუბრება,** — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძემ „ნაციონალური მოძრაობაზე„ საუბრისას განაცხადა.

სანქციებს დაელოდოს „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც საარჩევნო შედეგებით პირველი ოპოზიციური პარტიაა და მიშელის დოკუმენტს დღემდე ხელს არ აწერს.

**„ოპოზიციონერი დეპუტატების ნახევარზე მეტი ხელს არ აწერს შარლ მიშელის დოკუმენტს. ესენი საუბრობენ სანქციებზე? ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. როცა პარტია ხელს არ აწერს შარლ მიშელის დოკუმენტს და ამ დოკუმენტზე დაყრდნობით რაღაც სანქციებზე გესაუბრება, ეს არის ღიმილისმომგვრელი. რა თქვა ჰარცელმა? ყველასთან გვექნება კომუნიკაცია, ვმოქმედებთ ზედმიწევნით კორექტულად, რაც შეთანხმდა ზეპირად და წერილობით საერთაშორისო პარტნიორებთან, რაც ასახულია შარლ მიშელის დოკუმენტში. ამ ტექსტისა და სულისკვეთების შესაბამისად ზედმიწევნით ვმოქმედებთ“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## გიორგი გახარია იმავე სასტუმროში ცხოვრობდა, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი

**ყოფილმა** პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ **„კურიერს“ დაუდასტურა, რომ იმავე სასტუმროში ცხოვრობდა, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი.**

გახარია კონკრეტულად არ ასახელებს, თუ ვის შეხვდა ის ამერიკული ვიზიტის ფარგლებში. ვაშინგტონიდან მიღებული ინფორმაციით, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ექსპრემიერი გიორგი გახარია ერთმანეთს კონსპირაციულად შეხვდნენ.

## ლევან დოლიძე: თვალით არ გვინახავს სააკაშვილი!

**მე, გიორგი გახარია და კახა ქემოკლიძე Mayflower-ში შევხდით ერთმანეთს და მეორე დღესვე გადავინაცვლეთ სხვა სასტუმროში, თვალით არ გვინახავს მიხეილ სააკაშვილი,** — ამის შესახებ „საქართველოსთვის“ წევრმა ლევან დოლიძემ „პალიტრანიუსის“ ეთერში განაცხადა.

**„არც ერთი დღე ჩვენ და მიხეილ სააკაშვილი ამ სასტუმროში არ ვყოფილვართ. ჩვენ სხვადასხვა მიმართულებიდან ჩამოვფრინდით. მოგეხსენებათ, გიორგი გახარია და კახა ქემოკლიძე აქ ბრიუსელიდან ჩამოფრინდნენ, მე იგივე დღეს, საღამოს — თბილისიდან. ჩვენ სასტუმრო Mayflower-ში შევხვდით ერთმანეთს, მხედველობაში მაქვს, კახა ქემოკლიძე, გიორგი გახარია და მე. მეორე დღესვე გადავინაცვლეთ სხვა სასტუმროში, სადაც თვალით არ გვინახავს არც მიხეილ სააკაშვილი, არც ნიკა მელია. ნიკა მელიასთან დაკავშირებით, მინდა ერთი რამ გითხრათ, როდესაც ერთ შეხვედრაზე მივდიოდი, მანქანაში ვიჯექი და დავინახე, რომ ნიკა მელიამ სწრაფი სირბილით ჩაირბინა სპორტული ტანსაცმლით. როგორც შემდეგ მომივიდა ინფორმაცია „ფეისბუქზე“, ის ვარჯიშობდა. ეს არის ერთადერთი გადაკვეთა, თუ ამას შეიძლება ეწოდოს გადაკვეთა“,** — განაცხადა ლევან დოლიძემ.

ვაშინგტონიდან მიღებული ინფორმაციით, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ექსპრემიერი გიორგი გახარია ერთმანეთს კონსპირაციულად შეხვდნენ.

## ირაკლი ქადაგიშვილი: ოპოზიცია რეალურად ვერ პოულობს თავის ადგილს

— **ამის** შესახებ საპროცედურო და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა.

**„ოპოზიციას არ შეუძლია რეალურად, საგნობრივად და არგუმენტირებულად დაასაბუთოს თავისი პოზიციები. ამიტომ ყოველ ჯერზე მიმართავენ დემარშებს, რაც, პირველ რიგში, მათთვისაა დამაზიანებელი. მეორე მხრივ დამაზიანებელია, როცა ამბობენ: „ჩვენ გვინდა უკეთესი სასამართლო“ და ამ დროს კონკრეტულ განხილვაში ვერ შემოდიან იმიტომ, რომ როცა კონკრეტული განხილვა იწყება, სათქმელი უკვე არაფერი აქვთ“,** — განაცხადა ქადაგიშვილმა.

# რა აშფოთებს ინგა გრიგოლიას, და რატომ არ უნდა ჩატარდეს გეიაღლუმი თბილისში?!

**გახრწნილ** ქართულ ტელემედიას რამდენიმე წელია არ ვუყურებ. ხანდახან სოციალურ ქსელში თუ წავაწყდები სკანდალურ ან ჩემთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, მხოლოდ მაშინ მიჩნდება სურვილი შევიჭვრიტო და საკუთარი დასკვნაც გამოვიტანო.

**ინგა გრიგოლიას** ცხოველურ ინსტინქტამდე დასულ „რეაქციას“ ჩემმა მტერმა უყურა, მაგრამ, წუხელ ერთმა მეგობარმა მირჩია, თვალყური მედევნებინა, რადგან 5 ივლისისთვის დანანონსებულ ლგბტ პრაიდზე უნდა ყოფილიყო საუბარი. ვუყურე. არაჩვეულებრივი არაფერი ყოფილა — **ლგბტ პრაიდის მომხრეები და მოწინააღმდეგენიც თავისას აწვებოდნენ. მე უფრო ის გამიკვირდა, პოლემიკა ხელჩართულ ბრძოლაში რომ არ გადაიზარდა, თუმცა, გულისტკივილით ვიტყვი, რომ კონსერვატიული მხარე (თუ ნუკა არველაძეს არ მივიღებთ მხედველობაში) შედარებით სუსტად გამოიყურებოდა.**

მათ ვერ დაუმტკიცეს ლგბტ-ს გაავებულ მხარდამჭერებს, რომ **მათი (ლგბტ-ს) უფლებები საქართველოში ნამდვილად არ ირღვევა, რომ გამოხატვის თავისუფლება არ ნიშნავს თავისი ანტიმართლმადიდებლური, ანტიადამიანური ვნებები უმცირესობამ თავს მოახვიოს უმრავლესობას, რომ საზოგადოებამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში სექსუალურ უმცირესობებს და მათ ბრმა თუ ფულზე დახურდავებულ მხარდამჭერებს არა მარტო ღია პროპაგანდის, არამედ გეიაღლუმის ჩატარების უფლება მისცეს.**

სასაცილოდ ხმიანებდა ქართული ტელემედიის აღიარებული გურუს— ინგა გრიგოლიას ბრალდება-განცხადება, **რომ ირღვევა კონსტიტუცია, რადგან, სექსუალურ უმცირესობას არ აძლევენ თვითგამოხატვის უფლებას, რომ ისინი ე.წ. „ღირსების მარშით“ ცდილობენ თავიანთი ხმა მიაწვდინონ საზოგადოების დანარჩენ ნაწილს, რომ სექსუალური ორიენტაციის გამო ისინი არ უნდა იყონ გარიყული საზოგადოებისგან და თავს სრულფასოვან მოქალაქეებად უნდა გრძნობდნენ...**

**მათ ვერ წარმოუდგენიათ, გაგანია დემოკრატიულ (!) ეპოქაში რატომ უნდა უთხრან უარი „ღირსების მარშად“ შეფუთული (საგულიყურაა, ვის ღირსებას იცავენ ისინი?!) გეიაღლუმის ჩატარებაზე.**

ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა დავუშვათ თავიანთი კურტუმოების ქნევა და ბინძური თეთრეულის დემონსტრირება, მით უმეტეს, როცა ისინი უკვე მარტო არ არიან — მათ დღეს ხომ დიპკორპუსი და ყბადაღებული ოპოზიციური პარტიებიც ღიად უმაგრებენ ზურგს და, როგორც ტელეგურუმ ბრძანა: **დამფრთხალი ხელისუფლება ვერ გარკვეულა, მისცეს თუ არა მათ გეიაღლუმის ჩატარების უფლება!**

**ეგ საკენკი მათ ქ-ნ კელი დეგნანს დაუყარონ — არც ირაკლი კობახიძის გულწრფელობის მჯერა და არც ხელისუფლების პრინციპულობის, რომ იგი თავის პატრონებს გადაახტება და საზოგადოების გულისხმას დაიცავს.**

მაქვს ეჭვი, რომ ამ თამაშში რაღაც გაგვეპარება და სასჯელიც არ დააყოვნებს.

**თუმცა, ეს არა მარტო საფუძვლიანი ეჭვი, არამედ, ალღოთი ნაკარნახევი ლოგიკაა — თუ მტკიცედ არ გამოვხატეთ საკუთარი ნება, ხელისუფლება ისევ გაგვაბითურებს, როგორც ეს ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისას ქნა.**

არადა, ეს სწორედ ის ანტიდისკრიმინაციული კანონია, რომელსაც ჩვეული კაპასობით ხშირად აფრიალებდა **ინგა გრიგოლია** და ხელისუფლებას მისი შესრულებისკენ მოუწოდებდა! მაშინ გადავყლაპეთ, რის შედეგსაც ახლა ნამდვილად მოვიმკით, თუ საზოგადოების კონსერვატიული ნაწილი ერთსულ და ერათხორც არ გაერთიანდა!!!

**ინგა გრიგოლია** თავის ამფსონებთან ხშირად აპელირებდა ჰომოფობიურ, ძალადობრივ ჯგუფზე, რომელიც მათ ხელს უშლის გეპრაიდის ჩატარებაში. განსაკუთრებით მათ ფაშისტ პერსონად მიჩნეული ჰყავთ **ლევან ვასაძე,** იგი **ინგა გრიგოლიას** თქმით, პოლიტიკას ამოეფარა და 25 ივნისამდე მისცა ვადა ხელისუფლებას — გააუქმოს გეიპრაიდის ჩატარება თბილისში.

**ანა სუბელიანის, იდა ბახტურიძის,** მწერლად წოდებულ **თეონა დოლენჯაშვილის** განცხადებით, **„ღირსების მარში“ საზოგადოების ყველაზე დაჩაგრული ნაწილის უფლებების დასაცავად ტარდება, თუმცა, არ დაუკონკრეტებიათ, რა ნაწილში იჩაგრება მათი უფლებები. ვინ ერჩის მათ, თუ გამომწვევად არ იქცევიან და არ ცდილობენ თავიანთი ბინძური ცხოვრების წესები არ მოახვიონ თავს დანარჩენ საზოგადოებას?!**

**საკმაოდ დამაფიქრებლად მეჩვენა გადაცემის ერთ-ერთი მონაწილის განცხადება, რომ მათ მიაღწიეს საერთაშორისო მობილიზებას და ყველაზე დაჩაგრულ ნაწილს სოლიდარობას ადგილობრივებთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციებიც უცხადებენ.**

განსაკუთრებით გულისამაჩუყებელი განცხადება გააკეთა ქ-ნმა **იდა ბახტურიძემ.** მისი აზრით, **არც მეტი, არც ნაკლები, ლგბტპრაიდის ჩატარება იქნება ტესტი სახელმწიფოსთვის (!) — ვართ თუ არა დემოკრატიული იდეების ერთგული!**

სახელმწიფოს დემოკრატიულობის ერთგულების რა მოგახსენოთ, **მაგრამ, 5 ივლისი ნამდვილად იქნება ტესტი საზოგადოებისთვის, ვართ თუ არა საკუთარი იდენტობის, საკუთარი მრწამსის დაცვის სადარაჯოზე, საბოლოოდ ვნებდებით ლიბერალურ იდეებს ამოფარებულ ნეოფაშისტურ ძალებს, თუ ჯერ კიდევ შეგვრჩენია ბრძოლის უნარი?!**

ვინ გაილახება, ვის დააწიწკნიან თმას, შეილახება თუ არა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს დემოკრატიული სახელი, ნაკლებად მენაღვლება — გეიაღლუმი არ უნდა ჩატარდეს, თუნდაც ამისთვის მთელი საქართველოს მობილიზება დაგვჭირდეს!

**ზაურ ნაჭყებია,**
**პუბლიცისტი**

# რამაზ საყვარელიძე:
# რატომ აქვს „ქართულ ოცნებას“ უგულო დამოკიდებულების და დაუფასებლობის სახელი?!

**„ქართულ ოცნებას“ ამ ეტაპზე ოფიციალურად არ გაუკეთებია განცხადება, რომ თბილისის მერის არჩევნებში მოქმედი მერის, კახი კალაძის კანდიდატურას წარადგენს, თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. მოქმედმა მერმა საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო. პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ფიქრობს, რომ კალაძე ამ ეტაპზე არის უკონკურენტო.**

**— კალაძე ძალიან აქტიურია სოციალურ ქსელში, პირდაპირი კომუნიკაცია აქვს მოსახლეობასთან. ფაქტია, მან იცის ფიარის მნიშვნელობა. იმის გათვალისწინებით, რომ „ქართული ოცნება“ ნდობის რეიტინგში წელგამართული არ არის, კალაძის კანდიდატურა იქნება სწორი სვლა გამარჯვებისთვის და არა კრიტერიუმების გათვალისწინებით?**

— ნაწილობრივ თქვენმა კითხვამ ჩამოთავლა ეს კრიტერიუმები. თუ „ქართული ოცნება“ არ გააკეთებს ამ არჩევანს და რაიმე მოტივით არ დაასახელებს კალაძეს მერად, წამგებიანი იქნება „ოცნებისთვის“. შესაბამისად, ის განსხვავება რაც კალაძეს დასახელება-არდასახელებაში გაჩნდება რეიტინგებში, სწორედ ეს განსხვავება არის „ოცნების“ მოგება. საეჭვოა, კალაძეს ვინმემ მოუგოს მერის არჩევნები, მით უფრო, რომ დიდი ხანია „ოცნებას“ საყვედურობენ, რომ მისთვის და ქვეყნისთვის საჭირო მნიშვნელოვან ნაწილს კარგავს.

„ქართული ოცნება“ არ უფრთხილდება კადრების შენარჩუნებას. იმ შემთხვევაში, თუ კალაძესთან დაკავშირებით რამე გაუგებრობა მოხდა, ეს საყვედური მით უფრო გაიზრდება და იყვირებს. ასე რომ, კალაძის დაკარგვა ძალიან წამგებიანი იქნება „ქართული ოცნებისათვის“, რომელსაც უგულო დამოკიდებულების და დაუფასებლობის იმიჯი აქვს.

**— თქვენ ახსენეთ, რომ „ოცნებას“ აქვს დაუფასებლობის იმიჯი საზოგადოებაში, სად და რა მიმართულებით ჩანს დაუფასებლობა?**

— დაუფასებლობაში ვგულისხმობ სწორედ გახარიასთან დაკავშირებულ მძაფრ კრიტიკას, რაც სრულიად მოულოდნელი იყო. ცოტა ხნის წინ, გახარიას თავად პარტიის ლიდერი აქებდა და ქვეყნის პრემიერ—მინისტრი იყო. რბილად რომ ვთქვათ, „ქართული ოცნების“ ეს ორგვარობა, ორსახეობა, რაც გახარიას ნაწილში ჩანს, რასაკვირველია, წამგებიანია. თუკი იგივე ტენდენცია გამოჩნდა კალაძის მიმართ, მთლიანობაში „ოცნების“ სახელი გაფუჭდება.

**— თვითონ კალაძეს რამდენად უკონკურენტო კანდიდატი იქნება? ჯერ არ ვიცით, ვის წარადგენს „ნაციონალური მოძრაობა“, იქნება თუ არა ერთიანი კანდიდატურა, მაგრამ თუ მოვლენებს გადავხედავთ, ალბათ, ოპოზიცია ვერ შეთანხმდება ერთიან კანდიდატურაზე. გახარია ამბობს, რომ ღირსეული მერობის კანდიდატი ეყოლება და ეს არის რეზი არველაძე, არ ვიცით ვისზე შეაჩერებს არჩევანს ლევან ვასაძე...**

— გააჩნია პარტიის გამამყარებელი გახდება თუ არა კანდიდატი, რადგან მერი, ამავე დროს, ამყარებს იმ პარტიას, რომლის წარმომადგენელიც არის. თუ იქნა იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელიც საზოგადოებას უნდა, რომ გამყარდეს უფრო, ვიდრე „ოცნება“, აი, აქ შეიძლება კალაძის კანდიდატურა აღმოჩნდეს რისკის ქვეშ.

**— ამ შეთხვევაში კალაძეში იქნება პრობლემა, თუ პარტიაში?**

— თვითონ კალაძეში არ იქნება პრობლემა, პრობლემა იქნება პარტიაში. თქვენ იცით, რომ თბილისის მერობა არის პარტიათა დუელის არენა. ამ დუელში გაიმარჯვებს ის, რომელიც საზოგადოებისთვის უფრო სასურველი იქნება, იმ პარტიის კანდიდატს დაუჭერს მხარს, რომლის გაძლიერებაც უნდა და არა იმიტომ, ის კანდიდატურა კალაძის კანდიდატურაზე უკეთესად მიაჩნდეს. კალაძეს, როგორც მერს, ვერც ერთი ვერ შეედრება ენერგიით, პოზიტიური ნაბიჯებით და ქალაქზე ზრუნვით. ასე, ცალკე აღებული კანდიდატების ფონზე, რომელთა ქმედუნარიანობა უცნობია, რა თქმა უნდა, კალაძე უკონკურენტოა. მაგრამ თუ პარტიების მიხედვით შეფასდა თბილისის მერის კანდიდატურები, იქ შეიძლება რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, მით უფრო, თუ „ოცნებას“ დაბალი ექნება რეიტინგი რომელიმე კონკურენტ პარტიასთან.

**— მხოლოდ „ოცნების“ რეიტინგი საკმარისია კალაძის გამარჯვებისთვის? ამ შემთხვევაში ამომრჩეველი ხმას მისცემს უშუალოდ კალაძეს, თუ პარტია „ქართულ ოცნებას“, რომლის მიმართ ნიჰილიზმი ეტაპობრივად მატულობს? ხმები, რომელსაც კალაძე მიიღებს, ეს იქნება პარტიის ხმა, თუ პირადად კალაძის დამსახურებული ხმა?**

— კახა კალაძეს შეუძლია თავისი ხმები აიღოს და საკმაოდ დიდი რაოდენობით. ვიმეორებ, სანახავია რეალური რეიტინგები. თუ აღმოჩნდა, რომ რეიტინგებში მარტო კალაძეს უფრო მეტი ხმა აქვს, ვიდრე „ოცნებასთან“ ერთად, ასეთ შემთხვევაში, ალბათ, კალაძისთვის ხელსაყრელი იქნება „ოცნებისგან“ დისტანცირება. ამ შემთხვევაში, ფსიქოლოგიური დისტანცირება და უფრო იმაზე პედალირება, რომ ის ქალაქის მერია, პოლიტიკური მიკუთვნელობის მიუხედავად, მისი ზრუნვა ერთნაირად ნაწილდება ყველაზე და ა.შ.

**— პროცენტული გათვლა როგორი იქნება, რაც გამორიცხავს მეორე ტურს? „ქართული ოცნების“ პირობებში კალაძე ერთადერთი მერია, რომელმაც პირველივე ტურში გაიმარჯვა. ვიცით, დავით ნარმანიას შემთხვევაში როგორ ვითარებაც იყო, დასჭირდა მეორე ტური და ამ შემთხვევაშიც ძალად მოხდა ნარმანიას გამარჯვება და ეს აშკარა იყო...**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. დიდად დამაჯერებელი არ იყო ნარმანიას გამარჯვება. ეს მდგომარეობა კალაძესთან არ გვქონდა. ეს იმ კალაძესთან, რომელიც ჯერ კიდევ არ იცოდნენ როგორი მერი იქნებოდა. კალაძეს, როგორც პიროვნებას ფეხბურთელის რეიტინგი უფრო მოჰყვებოდა შლეიფად. დღეს უკვე ამ შლეიფს კალაძე უერთდება როგორც მერი და უმრავლესობა ხაზს უსვამს, რომ კალაძე კარგი მერია. ამდენად, საკმაოდ მაღალია იმის შანსი, რომ კალაძეს დამარცხება გაუჭირდეს ნებისმიერ სხვა კანდიდატს, მით უმეტეს თქვენ თვითონ აღნიშნეთ, რომ კალაძემ კარგად იცის საზოგადოებასთან ურთიერთობა.

**ესაუბრა**
**თამთა ძარჩავა**

# მედია იწონებს მსოფლიო პატრიარქის განწყობას, გააერთიანოს ქრისტიანები!

**ჟურნალისტების ყურადღება მიიპყრო კონსტანტინეპოლის პატრიარქ ბართლომესადმი გაგზავნილმა არქიეპისკიპოს იობის გულღია წერილმა.**

**რატომ დაინტერესდა მედია ასე ძალიან?**

იტალიის ახალი მიტროპოლიტი, კონსტანტინეპოლის პატრიარქის სამხეთ ევროპის ეგზარქოსი პოლიკარპე მაისის ბოლოს შეხვდა რომის პაპს ფრანცისკეს. მასთან ინტერვიუში ისაუბრა თავისი ერთ-ერთი მთავარი მისიის შესახებ — ხელი შეუწყოს მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების ეკუმენიკურ დიალოგს. კიდევ ერთი მაგალითი რომთან გაერთიანების იდეის მხარდაჭერისა.

გამოცემა Greek Reporter-მა გამოაქვეყნა სტატია პატრიარქ ბართლომესადმი არქიეპისკოპოს იობის წერილის საფუძველზე. გამოცემის ჟურნალისტი მაღალ შეფასებას აძლევს ამ წერილს, როგორც იმის დამადასტურებელს, რომ მსოფლიო პატრიარქი ერთგულია რომთან ევქარისტული ერთიანობის აღდგენის იდეისა.

რამ დააინტერესა მედია არქიეპისკოპოს იობის წერილში და რა ზეგავლენას მოახდენს მისი იდეები მართლმადიდებლურ სამყაროზე? აი, რას განმარტავს გამოცემა Cyclades24.gr: არქიეპისკოპოსის სიტყვებიდან ირკვევა, რომ იგეგმება ეკუმენიკური დიალოგის განვითარება რომაელ კათოლიკებთან და მომავალში აპირებენ რომთან დაახლოებას. თუმცა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიცია ამ მიზნის მისაღწევ გზაზე ძირითადი პრობლემაა. ამიტომ იმისთვის, რომ რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას ჩამოერთვას დიალოგი ვატიკანთან, შეთავაზებულია წინადადება **უკრაინის მართლმადიდებლური ეკელსიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებისა**.

როგორც არქიეპისკიპოსი იობი თავის წერილში ამტკიცებს, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიტროპოლიტი ილარიონი (ალფეევი) წლიდან წლამდე ხელს უშლიდა მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების დიალოგს. არ არის გამორიცხული, რომ პატრიარქი ბართლომე და მისი გარემოცვის წევრები, სწორედ ამის გამო განიცდიან არაკეთილგანწყობას მიტროპოლიტ ილარიონის მიმართ.

ამასთან, არქიეპისკოპოსმა იობმა იპოვა გამოსავალი: მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს შორის დიალოგს გაერთიანებასთან დაკავშირებით, შეცვლიან უკრაინის საკითხით. ამის გარდა, კონსტანტინეპოლი მზად არის იგნორირება მოახდინოს ანტიოქიის, სერბეთის, საქართველოს, ბულგარეთის, პოლონეთის ეკლესიების, ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის ეკლესიების პოზიციებია, რომლებიც მხარს არ უჭერენ კათოლიკურ ეკლესიასთან დაახლოებას. კონსტანტინეპოლი ამას იმით ხსნის, რომ ეს ეკლესიები რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ცნობილი სატელიტები არიან, რომლებიც ბრმად მიჰყვებიან მას პოლიტიკურ საკითხებში. ამგვარად, თუ ამის გამო აღნიშნული ეკლესიების წარმომადგენლები მართლმადიდებლურ-კათოლიკური კომისიის მუშაობაში მონაწილეობას აღარ მიიღებენ, პატრიარქ ბართლომეს შეუძლია გამოაცხადოს მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების ურთერთობის აღდგენის შესახებ.

**რა დაუჯდება დასავლეთ და აღმოსავლეთ საძრისტიანოს გაერთიანება, რთული წარმოსადგენია. გაერთიანების შემთხვევაში კონსტანტინეპოლისთვის რომის ეკლესიაში ადგილისა და სტატუსის მთავარი საკითხი იძნება და არა უკრაინასა და რუმინეთის უნიატების ექსპანსია. გამოდის, რომ უკრაინის მართლმადიდებლური და უკრაინის ბერნულ-კათოლიკური ეკლესიების გაერთიანების შესახებ გავრცელებული ხმები საფუძველს მოკლებული არ არის.**

ყველაფერი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქებისა და უნიატების ერთობლივი ღვთისმსახურება, რომელსაც მხარს უჭერს ფანარი, უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკაა და არა ცალკე აღებული სასულიერო პირებისა.

საერთო ჯამში, ეჭვი არ არის, რომ უკრაინის მართლმადიდებლური და უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიების მონაწილეობით ორმხრივი კომისიის შექმნის შემთხვევაში, რომელზეც საუბრობს არქიეპისკოპოსი იობი, გაცხადდება, რომ არ არსებობს დაბრკოლება ერთობლივ ღვთისმსახურებისა და გაერთიანებისა. უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიიის არქიეპისკოპოსი სვიატოსლავ შევჩუკი, კონსტანტინეპოლის ეკლესიისგან განსხვავებით, დიდი ხანია ღიად საუბრობს აშკარა ფაქტზე: ერთიანი „კიევის ეკლესია“ შესაძლებელია მხლოდ რომის ეპისკოპოსის ეგიდით არსებობდეს.

**არქიეპისკოპოს იობის წერილიდან ირკვევა, რომ ეს არანაირად არ იმოქმედებს პატრირაქ ბართლომეს საშიშ ზრახვებზე, რომელმაც გადაწყვიტა უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის გამოყენება, როგორც ახალი შესაძლებლობა რომთან კავშირისა. შესაძლოა, უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია სწორედ ამ განზრახვით შეიქმნა.**

# სურსათი გლობალურ ბაზრებზე ვეღარ გაიაფდება!

## საქართველოს მსგავსი ქვეყნები დიდი დარტყმის ქვეშ არიან

**პანდემიამ** **თვალსაჩინო გახადა, რომ პირველადი მოთხოვნილების პროდუქტები ვეღარ გაიაფდება. ამაში, პირველ რიგში, იგულისხმება სურსათი. საკვები წლიდან წლამდე მცოცავი რეჟიმით ყოველთვის ძვირდებოდა, მაგრამ ახლა ნახტომისებური ეფექტის წინაშე დადგა კაცობრიობა.**

მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა, წარმოება რიგ დარგებში იგივე დარჩა, უმრავლეს შემთხვევაში კი შემცირდა. ასეთ პირობებში მძიმე შედეგი გარდაუვალია, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც სასურსათით უზრუნველყოფის თვალსაზრისით იმპორტზე არიან დამოკიდებულნი. როგორც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს (ფაო) მიერ გავრცელებული ინფორმაციიდან ირკვევა, **მარტო მაისში სურსათზე მსოფლიო ფასებმა ყველაზე სწრაფი თვიური ტემპით – 4,8%-ით მოიმატა, რაც 10 წელზე მეტია, არ მომხდარა. სურსათზე ყველაზე მაღალი გლობალური ფასი 2011 წლის სექტემბერში აღირიცხა. სააგენტოს სასურსათო ინდექსი მაისში, საშუალოდ, 127,1 პუნქტს შეადგენდა, რაც აპრილის 121,3 პუნქტზე მაღალია.**

გაერო საკუთარ კვლევებში სურსათის მოსალოდნელ საფრთხეზე ბოლო წლების განმავლობაში მუდმივად საუბრობს. ბოლო დროს ამ პრობლემას განსაკუთრებით გაესვა ხაზი პანდემიისა და მისგან გამოწვეული პრობლემის გამო. ცხადია, ზომების მიღება მოუწევს მსოფლიოს ყველა ნორმალურ სახელმწიფოს, მათ შორის – საქართველოს. აპრილთან შედარებით 6.0 პროცენტით გაიზარდა მარცვლეულის ფასების ინდექსი. ზრდის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალი იყო სიმინდზე, რომლის ფასი, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 89.9 პროცენტით გაზრდილი.

წინა თვის მსგავსად, ზრდის ტენდენცია შეინარჩუნა მცენარეული ზეთის ფასების ინდექსმა, რომელიც 7.8 პროცენტით გაიზარდა. ფასების ზრდა თითქმის ყველა სახის მცენარეულ ზეთს შეეხო, მათ შრის – სოიოს, მზესუმზირას და პალმის ზეთს. მთავარ მიზეზად, ბიოდიზელის ინდუსტრიაში პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნა და მწარმოებელ, აზიურ ქვეყნებში წარმოების შენელება განიხილება.

6.8 პროცენტით გაიზარდა შაქრის ფასების ინდექსი. მატების ძირითად მიზეზს, ბრაზილიაში, შაქრის ყველაზე მსხვილ მწარმოებელ ქვეყანაში, მოსავლის აღების პროცესში წარმოქმნილი შეფერხებები წარმოადგენდა. შაქრის ფასმა დარეგულირება, მაისის ბოლოს, ინდოეთიდან ექსპორტირებული პროდუქტის ხარჯზე დაიწყო. გაზრდილია ხორცის ფასების ინდექსიც. ზრდამ 2.2 პროცენტი შეადგინა და იგი მეტწილად ჩინეთის მიერ პროდუქტის დიდი და სწრაფი ოდენობით შესყიდვამ განაპირობა. წინა თვესთან შედარებით, მაისში ფრინველისა და ღორის ხორცზე მოთხოვნამ მოიმატა.

ფასები გაიზარდა რძესა და რძის პროდუქტებზე. აპრილის თვესთან შედარებით, სხვაობამ 1.8 პროცენტი შეადგინა, რაც, წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს 28 პროცენტით აღემატება. ზრდის მთავარი კატალიზატორი, რძის ფხვნილზე (ცხიმმოხდილი და ცხიმიანი) გაზრდილი მოთხოვნა იყო.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელი **კობა კობალაძე** ამბობს, რომ ასეთი გლობალური სიძვირის პირობებში საქართველოს მსგავს ქვეყნებს დიდი პრობლემა ემუქრება. ამიტომ აუცილებელია აგრარულ სექტორში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც მრავალ პრობლემას მოხსნის და მოსავლიანობას მკვეთრად გაზრდის.

**„პირველ რიგში, უნდა დავიწყოთ მიწების დამცავი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიისა და ტექნიკის გამოყენება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გასარწყავებას. სადაც თვითდინება არ იქნება შესაძლებელი, ჭაბურღილი უნდა გაკეთდეს. ამ მიმართულებით ბოლო დროს მთავრობის მხრიდან გარკვეული ქმედითი ნაბიჯები იდგმება, მაგრამ მეტად უნდა გააქტიურდეს მუშაობა. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს წყალსაცავების გაკეთებას, რადგან სურსათის დეფიციტამდე შეიძლება, დადგეს წყლის პრობლემა.**

**გლობალურ შიმშილობაზე ჯერ კიდევ 5 წლის წინ ლაპარაკობდა ამერიკის განსაკუთრებულ სიტუაციათა დეპარტამენტი. ამავე პერიოდში სოფლის მეურნეობის მოსალოდნელ პრობლემაზე ინგლისში ალაპარაკდნენ. ამას მთელი მსოფლიოდან მოჰყვა გამოძახილი, საქართველოს გარდა. სერიოზული პრობლემაა და მასთან გასამკლავებლად მთავრობას, შეესაძლოა, ძალა არ ეყოს. გლობალური მასშტაბის პრობლემის წინაშეა კაცობრიობა და საქართველოს ტიპის პატარა ქვეყნებსაც ჩაითრევს“,** – განაცხადა კობა კობალაძემ.

მეცნიერის განმარტებით, უნდა შედგეს სურსათის უსაფრთხოების გეგმა, უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს პირობები და საფრთხეები, რადგან ქვეყანა იმპორტზეა დამოკიდებული და მოწოდების გზები რომ მოულოდნელად გადაიკეტოს, 90-იანი წლები მონაგონი იქნება, იმდენად მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდება ქვეყანა.

**გვანცა გიორგობიანი**

# იმკურნალეთ ზღაპრულ ნუნისში!

## საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარებას ინფრასტრუქტურული პრობლემები აფერხებს

**კურორტ ნუნისში** **საქართველოში პოსტ-კოვიდური რეაბილიტაციის პირველი პროგრამა ამოქმედდება. პროგრამას, რომელიც შვეიცარიის სარეაბილიტაციო ცენტრების გამოცდილებას ეყრდნობა, პროფესორი ლერი ლაფანაშვილი ხელმძღვანელობს.**

„კომერსანტი“ დაინტერსდა, როგორია მოთხოვნა სარეაბილიტაციო კურსზე და რა სერვისებს სთავაზობს ბალნეოლოგიური კურორტი სტუმრებს. ამ და სხვა კითხვებზე მედიაჰოლდინგთან კურორტ „ნუნისის“ გენერალური დირექტორი **ირმა დაუშვილი** საუბრობს. ბიზნესმენი აცხადებს, რომ 2020 წელს ნუნისის მიმართ ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა, მისივე თქმით, მოთხოვნა დაბალბიუჯეტიან პაკეტებზეა გაზრდილი.

**„სასიამოვნო იყო, რომ სხვა წლებში თუ ზამთრის სეზონზე მომხმარებელი ნაკლებად გვყავდა, წელს კომპანია ალტავისტასთან ერთად (კომპანია, რომელმაც 2020 წლის მენეჯმენტი თავის თავზე აიღო) ჩვენ შევძელით დამსვენებელი ზამთრის სეზონზეც მიგვეღო. თუმცა, ეს იმდენად მცირე რაოდენობა იყო, ვერ ვიტყვით, რომ ნუნისისთვის ფინანსურად ეფექტური იყო. თუმცა, მოთხოვნა საგრძნობლადაა გაზრდილია, მაგრამ უფრო დაბალბიუჯეტიან პაკეტებზე და, რა თქმა უნდა, ეს მეტყველებს, რომ მოსახლეობის შემოსავლები არ გაუმჯობესებულა“,** – აცხადებს ბიზნესმენი.

ირმა დაუშვილი გვიყვება, რომ ბალნეოლოგიურ კურორტზე ძირითადი მკურნალობა სააბაზანო პროცედურების მეშვეობით ხდება. მისი თქმით, იქ არის უნიკალური თერმული წყალი კანის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. ამბობს იმასაც, რომ ნუნისში არაჩვეულებრივი, ეკოლოგიურად სუფთა გარემოა, სადაც მანქანით მოძრაობა აკრძალულია, ირმა დაუშვილის თქმით, ტერიტორიაზე მოხვედრა მხოლოდ ფეხით ან საბაგაროთია შესაძლებელი. ბიზნესმენის განცხადებით, კურორტი მომხმარებელს სამჯერად კვებასთან ერთად, საფეხმავლო ექსკურსიებსაც სთავაზობს. მისივე განმარტებით, ტერიტორიაზე მოწყობილია ღია ბარი, სადაც დამსვენებლებისთვის ღონისძიებებს აწყობენ. „კომერსანტის“ კითხვაზე, რა თანხას შეადგენს სარეაბილიტაციო-გამამჯანსაღებელი კურსი, ირმა დაუშვილი გვპასუხობს:

**„დღევანდელი პოსტკოვიდური მდგომარეობა საკმაოდ შეუსწავლელია. ჯერ არ არის ბოლომდე დადგენილი, თუ რა გართულებებს იწვევს ვირუსი. თუმცა ერთი რამ ნათელია, რომ სუფთა ჰაერი, ჯანსაღი გარემო და სიმშვიდე ნებისმიერი დაავადებაზე დადებითად აისახება. ამიტომ ნუნისი ამ თვალსაზრისით გამორჩეული ადგილია. სარეაბილიტაციო პროგრამა ითვალისწინებს როგორც სარეაბილიტაციო, ისე გამამჯანსაღებელ 7-14 დღიან კურსს. პაკეტის ღირებულება კი დღეების რაოდენობაზეა დამოკიდებული. ვფიქრობთ, რომ პროგრამა ტურისტებისთვისაც საინტერესო იქნება“.**

ნუნისის გენერალური დირექტორი პროგრამის ეფექტურობას სეზონის ბოლოს შეაფასებს, სწორედ ამის შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას, ითანამშრომლებენ თუ არა სხვა კურორტებთანაც. თუმცა, ირმა დაუშვილი ამბობს, რომ ქვეყანაში სამედიცინო ტურიზმს დიდი პერსპექტივა აქვს, მაგრამ მის განვითარებას ინფრასტრუქტურული პრობლემები აფერხებს:

**„ვფიქრობ, რომ სამედიცინო ტურიზმი ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველოს უნიკალურობა მის ბუნებაში, მთებსა და ბუნებრივი რესურსების სიმდიდრეშია. საბჭოთა კავშირის პერიოდის მონაცემებით, ჩვენ გვაქვს 355-ზე მეტი საკურორტო ადგილი, კლიმატური, თერმული თუ მინერალური წყლებით. თუმცა, ეს ბუნებრივი რესურსები ჯეროვნად არ არის შესწავლილი და ამ მიმართულებით კარგი იქნება თუ კერძო სექტორი და სახელმწიფო უკეთ ითანამშრომლებენ. დღეისათვის ეს სფერო მიტოვებულია და არანაირი ხელშეწყობა არ არის.**

**თუნდაც, რომ ავიღოთ ნუნისი. მისი განვითარება ჩვენთვის, დამფუძნებლებისთვის, საკმაოდ ძნელია, რადგან დღემდე ვერ მოხერხდა მისასვლელი გზის დაგება და არც სარკინიგზო სადგურია თანამედროვედ მოწყობილი, აღარ ვსაუბრობ კომფორტულ მატარებლებზე. არ არის გაზიფიცირება, პრობლემაა ინეტრნეტიც. იმისთვის, რომ ეს სფერო განვითარდეს, ამ მიმართულებას სახელმწიფოს მხრიდან სჭირდება დახმარება, რაც დღეს არ ხდება. ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციები განსაკუთრებით კი რეგიონებში, განსავითარებელი?ა! ამ მიმართულების მოწესრიგების გარეშე სამედიცინო ტურიზმის განვითარება წარმოუდგენელია, თუმცა უზარმაზარი პოტენციალი გვაქვს“,** – აცხადებს ირმა დაუშვილი.

**ბაჩო ადამია**

## „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო დაჩქარებულ პრივატიზაციას წარმატებულად განაგრძობს.**

მიმდინარე წელს, განახლებული სახელმწიფო პროგრამა „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში, სააგენტომ კერძო სექტორს ჯამში 200 მლნ ლარზე მეტი საწყისი ღირებულების 308 ობიექტი შესთავაზა, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და სახელმწიფო საწარმოები.

**დღეის მდგომარეობით ელექტრონულ აუქციონებზე ვაჭრობა 161 ობიექტზე შედგა, რომელთა საწყისი ფასი 101,984,700 ლარი იყო, ხოლო მაღალი კონკურენციის პირობებში აუქციონების საბოლოო შედეგმა 160 მლნ ლარი შეადგინა. გაყიდული ქონების ღირებულება საწყის ფასთან შედარებით 58 პროცენტით გაიზარდა.**

**გაიყიდა შპს „თბილისის №1 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის“ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 100%-იანი და შპს „ჭიათურის ავტოსადგურის“ 49%-იანი წილები.**

სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია. ყველა დაინტერესებულ პირს თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდა, ყოველგვარი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე მონაწილეობა მიეღო მიმდინარე ელექტრონულ აუქციონში და მოკლე დროში გამხდარიყო სახელმწიფო აქტივის მესაკუთრე.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო აქტიურად განაგრძობს ბიზნესსექტორისთვის საინვესტიციოდ მიმზიდველი სახელმწიფო ქონების შეთავაზებას. ამ ეტაპზე ელექტრონულ აუქციონებზე გამოტანილია 100 მლნ ლარზე მეტი ღირებულების 147 ობიექტი, საიდანაც 8 სახელმწიფო საწარმოა.

# გეიაღლუმი არ უნდა ჩატარდეს!

**ლგბტ თემი და მათი მხარდამჭერები გეიაღლუმისთვის ემზადებიან. ამის დასტურია ივლისის დასაწყისისთვის დაგეგმილი ლგბტ კვირეული, რომელიც შესაძლოა ლგბტ-ს მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდოს! ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა სექსუალური უმცირესობა ცდილობს თავისი ცხოვრების დღის წესრიგი თავს მოახვიოს საზოგადოების დანარჩენ ჯანსაღ ნაწილს, როცა მწვანე შუქი აძვს ანთებული არა მარტო გაუკუღმართებული სექსუალური ორიენტაციის ღია პროპაგანდას, არამედ, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებასაც.**

საქართველოში ლგბტ-ს სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ცოცხალი მაგალითია ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც „ქართული ოცნების“ ბედოვლათმა ლიბერალურმა პარლამენტმა „ტაშის გრიალით“ მიიღო 2015 წელს!

თავს ნუ მოვიტყუებთ – ანტიდისკრიმინაციული კანონიდან, ლგბტ-ს კვირეულის ჩატარებიდან (რომელიც შეფუთულია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ლოზუნგით), ერთნაირსქესიანთა ქორწინებამდე და მათთვის შვილის აყვანის უფლების დაკანონებამდე, მხოლოდ ერთი ნაბიჯია!

ნიშანდობლივია, რომ ეს საკითხი ყველაზე მწვავედ დგას მართლმადიდებელ საქართველოში – სწორედ მართლმადიდებელი სამყარო არის ყველაზე დიდი სამიზნე ულტრალიბერალებისთვის, რომლებიც გაშმაგებით ებრძვიან ტრადიციულ ფასეულობებს და ცდილობენ შეარყიონ ეროვნული იდენტობა.

ლოგიკურად ისმება კითხვა:

ვინ უმაგრებს ზურგს გაუკუღმართებული სექსუალური ორიენტაციის მიმდევრებს და მხარდამჭერებს და რა როლს ასრულებს ამ თვალსაზრისით მოქმედი ხელისუფლება და პოლიტიკური ისტებლიშმენტი?

უდავოა, რომ ლგბტ-ს მხარდამჭერებს შორის ე.წ. ასო-ები (არასამთავრობო სექტორი) ლიდერობენ, რომლებიც ძირითადად უცხოეთიდან ფინანსდებიან, მათი პოზიციის გამხმოვანებელი კი გახლავთ სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია (სხვათა შორის, მას არც მისი წინამორბედი მანქურთი ნანუაშვილი ჩამორჩებოდა), რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების ხმალშემართულ დამცველად გვევლინება!

ამ რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „ქართულ ემ“-ზე ცნობილ უფლებადამცველს, ყოფილ პარლამენტარს და საკმაოდ კვალიფიციურ იურისტს, ბ-ნ დიმიტრი ლორთქიფანიძეს ვუსმენდი. გაოცებული დავრჩი, როცა სახალხო დამცველის შერჩევის კრიტერიუმებზე ისაუბრა – დარწმუნებული ვარ, ბატონი დიმიტრი, რომელიც საზოგადოების მხარდაჭერით სარგებლობდა, ამ პოსტზე დასამტკიცებლად ყველაზე საუკეთესო კანდიდატურა იქნებოდა. აშკარაა, რომ ხელისუფლება კადრების შერჩევისას კუთხეშია მიმწყდეული (საკადრო პოლიტიკა, ფაქტობრივად არ გააჩნია) და ვისაც შეაჩეჩებენ, უსიტყვოდ უნდა დაამტკიცოს!

უფრო გაოცებული დავრჩი, როცა ნინოწმინდის პანსიონის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე ისაუბრა ნინო ლომჯარიამ. მისი წიოკი ჭიქაში ატეხილ ქარიშხალს ჰგავდა, რადგან ის ბენეფიციარი, ვისზე ძალადობის მოტივაციითაც გაილაშქრა პანსიონის წინააღმდეგ, თურმე, არა ძალადობის მსხვერპლი, არამედ, ასო-ების მიერ დაქოქილი, ფაქტობრივად კი უვნებელი (ხელუხლებელი) ყოფილა. საკუთარი მიზნის მისაღწევად, ეკლესიის დისკრედიტაციის მიზნით ფსევდოლიბერალები (ლომჯარიასნაირი უტიფრები) ყველაფერს კადრულობენ!

**რა ვძნათ, კაპიტულაცია გამოვაცხადოთ?**

**არამც და არამც! ბოროტებას მედგრად უნდა დავუდგეთ და საკუთარი ძალაც ვაჩვენოთ. ჩვენი ძალა კი ეროვნული იდენტობის ერთგულებაშია...**

რადგან უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო სექტორის მავნებლობაზე ჩამოვაგდე საუბარი, აქვე ვიტყვი: ნუთუ ასე ძნელია შევქმნათ მათი საპირწონე ქართული ფულით დაფინანსებული არასამთავრობოები, რომლებიც დააბალანსებენ მათ მავნებლურ საქმიანობას საქართველოში და ერთგულად დაიცავენ ქართულ იდენტობას და საზოგადოებასაც.

მხოლოდ სურვილი და მონდომებაა საჭირო. ეს იქნება სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახი, ურომლისოდაც თანამედროვე სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია. თავის დროზე, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა აიღო სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ვალდებულება, მაგრამ, როგორც ყოველთვის, დაპირება დაპირებად დარჩა!

* * *

**ლგბტ თემის აქტიური მხარდამჭერი და პროპაგანდისტია ქართული მედია, განსაკუთრებით – ტელემედია, რომელთა მავნებლური საქმიანობა, თუ არ აღემატება, არ არაფრით ჩამორჩება ასო-ების ანტისახელმწიფოებრივ, მავნებლურ პოლიტიკას!**

ქართული ტელემედია, არა მარტო აზომბირებს საზოგადოებას (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით), არამედ, ხმალშემართული ებრძვის ტრადიციულ ღირებულებებს, უწევს რა აქტიურ პროპაგანდას არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს და ამას აკეთებს ადამიანის უფლებათა დაცვის ყბადაღებული ლოზუნგით.

**საუბედურო ლომჯარიას, გიგბურს, გვარამიას, გრიგოლიას, კვესიტაძეს, მელაძეს არ გააჩნიათ არც სამშობლოს განცდა და არც ქართული ცნობიერება. ისინი გარყვნილი სააკაშვილის პოლიტორგიების პორნოვარსკვლავები არიან!**

**როგორც რიგითი მართლმადიდებელი კატეგორიულად ვაცხადებ: რაც არ უნდა დაგვიჯდეს, თბილისში გეიაღლუმი არ უნდა ჩატარდეს! ამის გაკეთება მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია – მან ეს არ უნდა დაუშვას, ის ვალდებულია ყველა თავის ხელთ არსებული ბერკეტი მაქსიმალურად გამოიყენოს!**

* * *

**შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით, ავანგარდში დგანან პოლიტიკური პარტიებიც. მყარ არგუმენტად გამოგვადგება 15 პოლიტიკური პარტიის ერთობლივი განცხადება, რითაც ისინი უერთდებიან ლგბტ კვირეულის დღის წესრიგს. მიზანი ერთმნიშვნელოვანია: ამ „დამსახურებისთვის“ მათ გარანტირებული აქვთ მხარდაჭერა ამრიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, პირადად ამერიკის ელჩის, ასევე ევრიკავშირისა და ნატოს მხრიდან მომავალ ადგილობრივ თუ საპარლამენტო არჩევნებში.**

დასკვნა მარტივია: საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ ოპოზიციონერობაზე, შეგნებულად დგებიან სიბილწისა და გარყვნილების სამსახურში, რაც საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს და სათანადო ვერდიქტიც გამოუტანოს მათ!

* * *

**დაბეჯითებით** უნდა ითქვას ისიც, **რომ არა ხელისუფლების წაყრუება და პასიური პოზა, მეტიც, მისი მხრიდან საკანონმდებლო დონეზე ლგბტ-ს მხარდაჭერა, ცხადია, სექსუალური უმცირესობის დიქტატი უმრავლესობაზე ასეთ რეზონანსს არ მიიღებდა.**

ცხადია ისიც, რომ ხელისუფლება მართულია ზემოთ ჩამოთვლილი უცხო ძალების მხრიდან და ფაქტობრივად, მათი დავალებების ბრმა შემსრულებელია! არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ იგი ხელოვნურად აღვივებს დაპირისპირებას ტრადიციული ღირსებულებების მომხრეებსა და სექსუალურ უმცირესობას შორის, რაც ადვილად შესაძლებელია ტრაგიკული შედეგებით დასრულდეს!

**მეტიც! შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ხელისუფლება საკანონმდებლო დონეზე იცავს სექსუალური უმცირესობის უფლებებს (ანტიდისკრიმინაციული კანონი, „კანონი იუვენალური იუსტიციის“ შესახებ, „ბავშვთა კოდექსი“) უმრავლესობის უფლებების დაკნინების ხარჯზე და, როგორც ზემოთ ვთქვი, ამით ხელს უწყობს დაპირისპირების ესკალაციას!**

* * *

**ერთადერთი** ინსტიტუტი, რომელიც ქვეყანაში მაქსიმალური ავტორიტეტით სარგებლობს და საზოგადოების (მრევლის) მობილიზება შეუძლია, დედაეკლესიაა, თუმცა, მისი „საბრძოლო არსენალი“ მხოლოდ სიტყვით და შეგონებით, ლოცვით და შენდობით შემოიფარგლება, რადგან მისთვის ძეშეცდომილიც მისი სულიერი შვილი და მისივე საპატრონოა, როგორც ტრადიციული ღირსებულებების მიმდევარი.

**არადა, ბევრი დედაეკლესიისგან ისეთი ღონისძიებების გატარებას ითხოვს, რაც მის შესაძლებლობებს აშკარად აღემატება. ნიშანდობლივია ისიც, რომ ხშირად ხელისუფლება ანგარიშს არ უწევს საქართველოს ეკლესიის რეკომენდაციებს და სასწორის პინა უმეტესწილად არატრადიციული ღირებულებების დაკანონებისკენ იხრება.**

**რა ძნას ამ დროს საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ: მოუწოდოს საკუთარ მრევლს ცეცხლითა და მახვილით ამოშანთოს ბოროტება?!**

**მე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ვიცნობ მის უწმინდესობას, კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. ერს ასეთი შორსმჭვრეტელი, სულიერი მამა ჰყავდეს და მის ბრძნულ რჩევა-დარიგებებს არ უსმენდეს, ჩვენს უღმერთობაზე და უგუნურებაზე მეტყველებს!**

და ბოლოს: როგორც რიგითი მართლმადიდებელი კატეგორიულად ვაცხადებ: რაც არ უნდა დაგვიჯდეს, თბილისში გეიაღლუმი არ უნდა ჩატარდეს! ამის გაკეთება მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია – მან ეს არ უნდა დაუშვას, ის ვალდებულია ყველა თავის ხელთ არსებული ბერკეტი მაქსიმალურად გამოიყენოს!

**ომარ მარგველაშვილი**

**P.S.** **მინდა, განსაკუთრებით გამოვყო ბ-ნი ლევან ვასაძე, როგორც ღირსეული პიროვნება, ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი – მას უსაზღვროდ უყვარს ჩვენი ბრძენი პატრიარქი და მთელი ძალისხმევითა და მონდომებით ებრძვის გლბტ-ს ანტიმართლმადიდებელ, ამაზრზენ და შემაძრწუნებელ გამოხტომებს. მას ჭეშმარიტი მამულიშვილების და მორწმუნე მრევლის მხარდაჭერა სჭირდება. ხელისუფლების უნიათობამ და წაყრუებამ ერისა და ქვეყნისთვის შეიძლება უმძიმესი შედეგი მოგვიტანოს!**

**ო. მ.**

**რომელ სისხლის სამართლის დანაშაულებს ვერ ვიკვლევთ 75-წლიანი ტაბუს გამო და როდის გაიხსნება ისინი?!**

# არქივის „ფესვები“ საქმეში

**9 აპრილის საქმე, ნაზი შამანაურის საქმე, სოლიკო ხაბეიშვილის საქმე... მკვლევრები ამბობენ, რომ, მოუძნელი და აბსურდული კანონმდებლობის გამო, მათ უახლოესი ისტორიის შესწავლაც კი არ შეუძლიათ.**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ამზადებს სარჩელს, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე 75-წლიანი ტაბუს არსებობას გაასაჩივრებს. დღეს, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თუ სისხლის სამართლის საქმის გახსნიდან 75 წელი არ გასულა, ეროვნული საარქივო ფონდი ამ საქმის შესახებ ინფორმაციას არ გასცემს. ფონდი საკმაოდ დიდია და მასში შედის როგორც ეროვნული არქივის, ასევე სხვა — მაგალითად, შს სამინისტროსა და პროკურატურის — საარქივო დოკუმენტაციის ნაწილიც.

თუ საქმე ან რაიმე საბუთი სისხლის სამართლის კატეგორიაში არ ხვდება, მასზე ინფორმაციის გაცემა შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პერსონალურ მონაცემებს დაშტრიხავენ. **„რა უნდა გამოვითხოვოთ, იმასაც ვერ ვიგებთ, რადგან სახელები და გვარები კატალოგშიც დაშტრიხულია“,** — ამბობს საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ირაკლი ხვადაგიანი.

სისხლის სამართლის ის საქმეები, რომლებიც არქივში 40-იანი წლებიდან ინახება, მკვლევარებისთვის დახურულია. ამ პერიოდში ექცევა საბჭოთა რეპრესიების, რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაციის, მასობრივი გადასახლებების (გერმანელების გადასახლება, მესხების გადასახლება...) შესახებ შედგენილი საქმეები და სხვა დანარჩენი დოკუმენტაცია.

პერსონალური მონაცემების გამჟღავნების აკრძალვა ეხება არა მხოლოდ იმ პირს, რომელზეც საქმეა გახსნილი, არამედ მასში მონაწილე თითოეულ ადამიანს, იქნება ეს გამომძიებელი, მოწმე, თანამონაწილე თუ სხვა. ირაკლი ხვადაგიანი ამბობს, რომ ამ პრობლემის გამო კვლევის მიღმა რჩება უამრავი ისეთი საკითხი, რომელიც საზოგადოებას აინტერესებს.

## ნაზი შამანაურის საქმე

**ჟურნალისტი ნაზი შამანაური 80-იან წლებში ჩარგალში „ვაჟაობის“ დღესასწაულზე სიტყვით გამოვიდა და ადგილობრივ თანამდებობის პირებს დაუპირისპირდა, რის შემდეგაც ის დედასთან ერთად დააკავეს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

გავრცელებული ინფორმაციით, საბჭოთა ექიმები ჟურნალისტს იძულებით მკურნალობდნენ, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ნაზი შამანაური 1983 წელს 42 წლისა დაიღუპა. კანონმდებლობის მიხედვით, მისი საქმის გამოთხოვა მინიმუმ 2058 წლამდე არ მოხერხდება.

**„რომ დაიწყო ამ მასალების მოძიება: როგორ დააკავეს, მსვლელობა თუ მიეცა საქმეს, ფსიქიატრიულში რა დასკვნები დაიდო... ამ ინფორმაციას ვერ მიეკარები, რადგანაც ფსიქიატრიულში იწვა და გეტყვიან, რომ პერსონალური ინფორმაციაა“**, — ამბობს ირაკლი ხვადაგიანი.

### ბერი გაბრიელის (ურგებაძე) საქმე

თუნდაც უახლოეს წარსულზე დღეს ბევრი რამე მხოლოდ გადმოცემით ვიცით. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამა გაბრიელმა (ურგებაძე) 1965 წლის 1 მაისს ლენინის პორტრეტი დაწვა, რის შემდეგაც ისიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში „გამოკეტეს“. დაკითხვებზე სცემდნენ და აწამებდნენ. რიგი საარქივო მასალები ამ საქმესთან დაკავშირებით მკვლევრებისთვის მინიმუმ 2040 წლამდე არ იქნება ხელმისაწვდომი.

## 9 აპრილის საქმე

**ირაკლი ხვადაგიანი ამბობს, რომ 9 აპრილის მოვლენებზე დღეს მხოლოდ პარტიული არქივის მასალებით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ როდესაც არანაკლებ საინტერესოა შსს-სა თუ მინისტრთა საბჭოს დოკუმენტები, რომლებიც ეროვნულ ფონდს მიეკუთვნება.**

მინიმუმ 2064 წლამდე მკვლევრები ვერც 9 აპრილის მასალებს შეისწავლიან.

## სოლიკო ხაბეიშვილის საქმე

**1985 წელს საქართველოს ცეკას მდივანი, სოლიკო ხაბეიშვილი, ცეკას პირველმა მდივანმა, ჯუმბერ პატიაშვილმა, თანამდებობიდან გაათავისუფლა. მალე ის მექრთამეობის ბრალდებით დააპატიმრეს. მაშინ ხაბეიშვილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, ედუარდ შევარდნაძის, კადრად მიიჩნეოდა და ითვლება, რომ მისი დაპატიმრება გავლენებისთვის ბრძოლის ნაწილი იყო. ამ საქმის დეტალები მკვლევრებისთვის 2060 წლამდე იქნება დაფარული.**

უკვე 1995 წელს სოლიკო ხაბეიშვილი პრეზიდენტ შევარდნაძის საერთაშორისო ფონდს ხელმძღვანელობდა. 20 ივნისს სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა, როდესაც სახლიდან გამოსულს თავს რამდენიმე ნიღბიანი დაესხა და მოკლა. მასთან ერთად დაიღუპა ის პირიც, რომელიც ავტომობილს მართავდა.

## დაელოდეთ გარდაცვალებას!

**„ეს ის თაობაა, რომელსაც დღესაც გავლენა და რეპუტაცია აქვს და არ არის მოტივირებული, ვინმემ მათი წარსული გამოქექოს. სხვა ქვეყნებში ამ თემასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომებია, მაგრამ რაც ტოტალიტარიზმს ეხება, ინფორმაციას მაქსიმალურად ხსნიან, მხოლოდ კერძო პირის (და არა საჯარო ფუნქციის მატარებელი ადამიანის) პირადი ცხოვრების საიდუმლოება არის დაცული“,** — ამბობს ირაკლი ხვადაგიანი.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ამზადებს სარჩელს, რომელსაც ივლისში საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანს. საია მიიჩნევს, რომ 75-წლიანი შეზღუდვის მოტივით საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უაპელაციოდ უარის თქმა საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ როდესაც საქმე საჯარო ინტერესს და პირადი ინფორმაციის დაფარვას ერთდროულად ეხება, არქივმა ყოველ ჯერზე ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს, ამ ორს შორის რომელს მიანიჭებს უპირატესობას. სახელმწიფომ ან თავისი ინიციატივით უნდა დაადგინოს, გარდაცვლილები არიან თუ არა ეს ადამიანები და გახსნას საჯარო ინფორმაცია, ან გამოიყენოს უკრაინის მაგალითი.

საია-ს იურისტი ვასილ ჟიჟიაშვილი ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ საკითხზე: მკვლევარს მისთვის საჭირო დოკუმენტის (ისიც არა სისხლის სამართლის საქმე) გამოთხოვა იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი დაამტკიცებს, რომ ადამიანი, რომელსაც ეს დოკუმენტი ეხება, უკვე გარდაცვლილია, ამის დამტკიცება კი შეუძლებელი იმის გამო ხდება, რომ, უბრალოდ, არავინ იცის, ვინ არის მოხსენიებული ამა თუ იმ დოკუმენტში.

**„რაც დრო გადის, მით უფრო დიდი ალბათობაა, რომ საქმის მასალებში მოხსენიებული პირები გარდაცვლილები იყვნენ. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ ან თავისი ინიციატივით უნდა დაადგინოს, გარდაცვლილები არიან თუ არა ეს ადამიანები და გახსნას საჯარო ინფორმაცია, ან გამოიყენოს უკრაინის მაგალითი. უკრაინამ მიიღო ახალი კანონი და თქვა, რომ ვინც ამ კანონის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში მიმართავს ფონდს და მოითხოვს, მისი ინფორმაცია დახურული დარჩეს, დახურული დარჩება, დანარჩენი კი გასაჯაროვდებაო“,** — ამბობს ვასილ ჟიჟიაშვილი.

გაცილებით მოსახერხებელი იქნება, თუ სამომავლოდ არქივი თავად გადაამოწმებს, გარდაცვლილია თუ არა ადამიანი, და ინფორმაციასაც ამის მიხედვით გასცემს.

თუმცა, მეორე მხრივ, კანონი ამ შემთხვევაშიც მკვლევრის ინტერესის წინააღმდეგ მიდის, რადგანაც ის, ვინც ისტორიულ პროცესებს შეისწავლის, მაქსიმალურად დაინტერესებულია ამ პროცესების რაც შეიძლება მეტი ცოცხალი მონაწილე გამოკითხოს და არა პირიქით, დაელოდოს, როდის მისცემს მათი გარდაცვალება დოკუმენტებთან მიახლოების საშუალებას.

**თეა თოფურია,**
**რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.**

# ლავრენტი ბერიას ცნობილი აგარაკი კოჯორში გაიყიდა

**თუ კოჯორში ერთხელ მაინც ყოფილხართ ლურჯ, არქიტექტურულად გამორჩეულ შენობას შენიშნავდით. საინტერესო ჩუქურთმები და ვიტრაჟული ფანჯრები ყველა გამვლელის ყურადღებას იქცევს. ამავე ტერიტორიაზე ორსართულიანი შენობა დგას. ეს შენობა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური ფიგურის, ლავრენტი ბერიას საზაფხულო რეზიდენცია იყო. ამ ფუნქციის დაკარგვის შემდეგ, აქაურობა სახელმწიფო ბალანსზე იყო, შენობას ეს ეტყობა კიდეც — ჩალეწილია ფანჯრები, აყრილია იატაკი, კედლები დამწვარია, სახურავი კი ჩამოშლილია. განადგურებული შენობა ნელ-ნელა პირვანდელ იერსახისაც კარგავს.**

თუმცა, „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ კამპანიის ფარგლებში სახელმწიფომ 22 560 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ნაგებობები 2 504 000 ლარად გაასხვისა. კოჯრის მხატვრულ-არქიტექტურულად გამორჩეულ აგარაკები 15 აპრილს 2 504 000 ლარად „შპს იბეროტელმა“ იყიდა. 1 კვ.მ მიწის ფასი 110 ლარი გამოდის. აუქციონში მონაწილეობას 3 კომპანია იღებდა, ბიჯების რაოდენობა 434 იყო. მიუხედავად იმისა, რომ „იბეროტელს“ ქონების შესყიდვის დიდი სურვილი ჰქონდა, კომპანიის დირექტორი ივანე ბარბაქაძე გვეუბნება, რომ ჯერჯერობით არ იცის როგორ განავითარებენ აგარაკს, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში აშენდა.

**„როდესაც საბოლოოდ შევთანხმდებით პარტნიორებთან, დეტალებს შეგატყობინებთ. რამდენ ხანში გვექნება ინფორმაცია არ ვიცი, ჩვენზე არ არის დამოკიდებული. რეალურად ვინც უნდა განავითაროს ეს აგარაკი, იმასთან ამ დრომდე მოლაპარაკებები გვაქვს“,** — გვითხრა ივანე ბარბაქაძემ.

კოჯრის გამორჩეული აგარაკის ახალ მფლობელს საინვესტიციო ვალდებულები არ აქვს, თუმცა აუქციონის აღწერილობაში ვკითხულობთ, რომ საპრივატიზებო ობიექტზე მიმდინარეობს წარმოება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე. შესაბამისად, ინვესტორი ცნობილი შენობების იერსახის შეცვლას, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს.

შენობას ბევრი მითი და ისტორია უკავშირდება. გავრცელებული ინფორმაციით, აგარაკი ბოლო მეფისნაცვლის მოღვაწეობის პერიოდშია აშენებული. 1925-იან წლებში ამ შენობაში 1921-24 წლებში რეპრესირებულთა დაობლებული ბავშვების თავშესაფარი იყო. გასაბჭოების შემდეგ კი კოჯორში ყველა შენობა საქალაქო სამმართველოს გადაეცა. მხატვრულ-არქიტექტურულად გამორჩეული ლურჯი შენობა, იმ დროინდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების საბჭოს აგარაკი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აქ ბავშვთა ბანაკი მოეწყო, მოგვიანებით კი... მიატოვეს და წლების განმავლობაში სახელმწიფო ბალანსზე ირიცხებოდა.

როგორ განავითარებს ახალი ინვესტორი განადგურებულ ისტორიულ შენობებს, ამას უახლოეს მომავალში გავიგებთ.

**გაჩო ადამია**

# მზეგრძელობა რეზო ამაშუკელს!..

გამოჩენილი ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი რეზო ამაშუკელი 85 წლისა გახდა!

გვიხარია, რომ დიდი ქართული პოეზიის ამ ერთ-ერთ გამორჩეულ ფალავანს, ხანდაზმულობის მიუხედავად, საქართველოს გადარჩენისთვის ბრძოლის ჟინი არ განელებია და კვლავაც ხშირად გვახარებს ახალი „ლომური“ შედევრებით.

მართლაც როგორი მადლიანი, ძარღვიანი, გულის ამჩქარებელი სტრიქონი აქვს...

მხოლოდ ბედაური ქართულით წერს.

ქართული სიტყვის ძალუმი ლექსიკა მისი მთავარი სიმდიდრეა.

რუსთაველისა და გალაკტიონის ქვეყანაში რეზო ამაშუკელი ჩვენ თვალწინ იქცა ამ პოეტური ცა-ფირუზის ღირს სიტყვის დიდოსტატად...

ამაყობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან დიდი ხნის მეგობრობით.

პატრიარქი ხშირად ლოცავს რეზო ამაშუკელს და მის ოჯახს.

ამაშუკელნი ამიტომაც არიან ასე მხნენი, უშიშარნი, შეუპოვარნი!

გილოცავთ, ბატონო რეზო! გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა სახელით, დიდხანს სიცოცხლეს და პოეტურ მზეგრძელობას გისურვებთ!

**სპარტაკ ძოგულია**

## რეზო ამაშუკელი

# მე ბოლნისის ლომებს ვთლიდი...

მიწა მაქვს და
მიწა მქონდა —
დარი მამალ ხოხბის ფრთისა,
მოყვრის მსასოებელი და
დამზაფვრელი მოშურნისა!
მაღლივ ღმერთი არ მაკლებდა
შუბლზე მირონცხებულ ნიშანს,
რკინას ვჭედდი, ვაშენებდი,
საყდარსა და სანთლის ნიშას.
მე ბოლნისის ლომებს ვთლიდი
სულს ჩემივე ჩუქურთმისას,
ვაზის ჯვარზე
სხივს ვახვევდი
კაბადუკიელის თმისას,
საწნახელში
ბიჭი იდგა
ვადას ჩაფრენილი ხმლისას
აკვნიდან რომ არ ენახა
მშვიდად დაღამება დღისა.
იქით ვეშაპს ხმალს ვუქნევდი,
აქედ დიდოს,
ლეკს და ხიზანს,
წიგნიც დაწვეს,
ვაზიც ჩეხეს,
მაინც ვერ ეწიენ მიზანს.
ზოგჯერ ჩემგან ჯვარწერილი
მეზობელიც ამემრიზა,
— შინაურმა თუ არ დამკლა
მე მომხვდური ვერას მიზამს!
მე ჩემი მაქვს მოსავლელი
თვალი არ გამირბის სხვისას,
წვეთ-წვეთად და
მისხალ-მისხალ
მიწა მეფე თამარისა!
ვინც შეირგებს ჩემს ზედაშეს, —
ჩოხას მივუბოძებ ძმისას,
ვინც არა და
ნუ მიიჩნევს
თავს ამ ცა-ფირუზის ღირსად!
აღარც ხონთქრის მეშინია
არც შაჰის და ყაენისა,
ხატზე ბევრჯერ გადავეცი
ვინც მამული გაასხვისა!
აღორძინებულო მზვარევ,
მხარევ, გაბადრული მზისა,
ილოცვიდე დედაენას
ჩინს საკუთარ თვალებისას,
ზეპირობდე
რვალზე წერილს
სამუდამო პარაკლისად: —
— „მე ვარ ავი მუსაიფი
კახთ ბატონის ირაკლისა!“

# იუბილარ პოეტს მინისტრი შინ ეწვია

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა რევაზ ამაშუკელს 85 წლის იუბილე მიულოცა. მინისტრი პოეტს შინ ეწვია და კულტურის სამინისტროს სახელით ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და წარმატებები უსურვა.**

რევაზ ამაშუკელი მრავალი პოეტური კრებულის ავტორია („ლექსები“, „ზედაზნის მთვარე“, „შენდამი“, „მზე და მთვარე ნუ მოგშლოდეს“, „ტირისკონი“, „აკმე“). სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალებში: „ცისკარი“, „მნათობი“, „ლიტერატურნაია გრუზია“, ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტში, იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, შოთა რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ასევე, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე.

რევაზ ამაშუკელის ლექსები 1957 წლიდან იბეჭდება. ამავდროულად, პოეტი ყოველთვის დაკავებულია საზოგადოებრივი მოღვაწეობით. სხვადასხვა დროს მას მიღებული აქვს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ორდენი, ღირსების ორდენი, რუსთაველის პრემია, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია, 2003 წელს კი თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

# შუაფხო

ხატობას აველ შუაფხოს
მზე ზანზალაკად ეკიდა...
შუაფხოელი შუახნის
წამოიწია თექიდან...

წამოაქცია კურატი,
გამოუღადრა კისერი,
ატყდა ღრეობა პურადი-
კაცი არ დარჩა ფხიზელი.

ლუდით და ჟიპიტაურით
გამტყვრალი ხალხი ეყარა
და ხერხემალში ხმაურით
შემოდიოდა ქვეყანა.

ვიჯექი, ჯვარი მეწერა,
მშვიდი, მწყაზარი სახითა,
რომ მერე ლექსად მეწერა,
რასაც დღე გულზე მახლიდა.

მზემ რომ მოხვრიპა ზედაშე,
ხატს უხმოდ გამოვესალმე...
და საღამომდე მე და შენ
ვკრიფეთ ცისფერი კესანე.

მოვედი, ხელი მოგხვიე,
გულზე პერანგი მოგხიე....
მთვარე, მე, შენ და არაგვი
მთვრალი ვიყავით ოთხივე.

# იუნესკოს ექსპერტები და ქართველი რესტავრატორები გელათის გადასარჩენად იბრძვიან

**ერთმა ექსპერტმა გელათის სახურავის პრობლემებზე უნდა დასვას დიაგნოზი და გვითხრას, რა გადაწყვეტილება იქნება უპრიანი. მეორე ჯგუფიც იუნესკოს მიერაა რეკომენდებული, რომლებიც შეძლებენ კედლის მხატვრობის დაზიანების დიაგნოსტიკას, რომ შემდეგაც უნდა შემოგვთავაზონ გამოსავალი,** — ამის შესახებ კულტურისა და სპორტის მინისტრმა, თეა წულუკიანმა გელათში იუნესკოს ექსპერტების საქმიანობის შეფასებისას განაცხადა.

**„აქაც, რა თქმა უნდა, გამოსავალს შევიმუშავებთ კედლის მხატვრობის ქართველ პროფესიონალ რესტავრატორებთან ერთად და მათი ჩართულობით. მთხოვეს, რომ ვითარების შესწავლის პროცესს დაესწროს ის 6-7 ადამიანი, რომლებიც დამოუკიდებელი ექსპერტები არიან და მათთან ერთად იმუშავებენ“,** — აღნიშნა წულუკიანმა.



## „იპოვე შენი შემდეგი წიგნი“

**„თბილისი — წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“, თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე, თავის სტენდთან გიწვევთ, სადაც ინტერაქციულ-გასართობ თამაშში, „იპოვე შენი შემდეგი წიგნი“, ჩართვას შეძლებთ.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, თამაში ნებისმიერ ადამიანს ინდივიდუალურად ესადაგება და კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გაცემის შედეგად, მომავალში წასაკითხი წიგნების სია სთავაზობს. მათივე ცნობით, პროცესი საკმაოდ მარტივია.

„ეკრანზე გამოსახული მისალმების ტექსტისა და მოთამაშის ასაკის გარკვევის შემდეგ, პირველ და საბაზისო კითხვაზე სცემთ პასუხს: კითხვის თავდადებული მოყვარული ხართ თუ მხოლოდ მოცალეობის ჟამს იღებთ წიგნს ხელში.

პირველი ფილტრი სწორედ აქ ირთვება და თამაშიც ლოგიკურ განვითარებას ჰპოვებს. ნელ-ნელა პროგრამა მოთამაშის შესახებ მეტ ინფორმაციას იღებს. მაგალითად, ფენტეზის ზღაპრული სამყარო უფრო აინტერესებს თუ მიწიერ ისტორიებს ამჯობინებს, გასართობი საკითხავი უფრო მოსწონს თუ ღრმად ფილოსოფიური, სქელტანიანი წიგნების დაძლევა უპრობლემოდ შეუძლია თუ მხოლოდ ერთ დღეში გადასაკითხისთვის იცლის.

მას შემდეგ, რაც მოთამაშე საბოლოო პასუხს დაფიქსირებს, პროგრამის გონება მიღებული ინფორმაციის გადამუშავებას იწყებს, რის დასრულების შემდეგაც, სამწიგნიან სიას აგენერირებს და შედეგი ეკრანზე გამოაქვს (ერთი ქართველი ავტორის, ორიც თარგმანი).

ამის შემდეგ, მოთამაშე იღებს ინდივიდუალურ QR კოდს, რაც რამდენიმე გამომცემლობისგან ამ კონკრეტული წიგნების 50-პროცენტიანი ფასდაკლებით შეძენის საშუალებას აძლევს“, — აღნიშნულია „თბილისი — წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. თბილისის წიგნის ფესტივალი 24-28 ივნისს, ტრადიციულად, „ექსპო-ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში გაიმართება. თბილისი — წიგნის მსოფლიო დედაქალაქი UNESCO-ს პროექტია, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის გენერალური სპონსორია „საქართველოს ბანკი“.

# რომელი ვაქცინაა უკეთესი?

## ჩინური ვაქცინების დამზადების მეთოდიკა მაინც ძველია და არა აქვს ისეთი მაღალი აქტივობა ვირუსის მიმართ, როგორც „ასტრაზენეკას“ და „ფაიზერს“

**21 ივნისის მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა 3847-მა ადამიანმა გაიკეთა. კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინით ქვეყანაში სულ 238220 ადამიანი აიცრა. ამის შესახებ ინფორმაცია თეწზსწმ.პუ-ზე განახლდა. ამის ფონზე, საუბარია იმაზე, რომ ესა თუ ის ვაქცინა უფრო ეფექტურია ვირუსის წინააღმდეგ, ზოგი კი, შედარებით სუსტი.**

მაგალითად, „სინოვაკით“ აცრილ ადამიანებში უფრო ხშირია დაინფიცირების შემთხვევები, ვიდრე სხვა ვაქცინებით აცრილებში. სპეციალისტების განმარტებით, ეს იმით არის განპირობებული, რომ „სინოვაკი“ ძველი მეთოდით არის დამზადებული, დანარჩენი ვაქცინები კი თანამედროვე.

ექიმი-ინფექციონისტი **ირაკლი ხმალაძე** For.ge-სთან ამბობს, რომ ზოგადად, თანამედროვე მეთოდით დამზადებული ვაქცინა უფრო ეფექტურია:

**„მეთოდიკა მაინც ძველია. თვითონაც აღნიშნეს, რომ არ აქვს ისეთი მაღალი აქტივობა ვირუსის მიმართ, როგორც მაგალითად „ასტრაზენეკას“ და „ფაიზერის“ ვაქცინებს. გარკვეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის არის „სინოვაკი“ და „სინოფარმი.“ თანამედროვე მეთოდიკით დამზადებული ვაქცინა ბევრად უფრო ეფექტური არის, ვიდრე ძველით, რომელიც თავის დროზე კარგი იყო, მაგრამ ამჯერად ასე არ არის.**

**საუბარია, რომ ვირუსი ხელოვნურად ხომ არ შექმნეს — გარკვეული ინფორმაციებიც არსებობს, რომ თვითონ ჩინეთში ხომ არ შეიქმნა ეს ვირუსი. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ ჩინეთში დამზადებული ვაქცინა ისეთი ეფექტური არ იყოს, როგორიც თანამედროვე მეთოდებით დამზადებული ვაქცინები.**

**ნებისმიერი ვაქცინით აცრილი ადამიანი არ არის 100%-ით დაცული დაინფიცირებისგან. ვიცით, „ასტრაზენეკათი“ აცრილი ადამიანები, რომელთაც დაემართათ კოვიდი და 100%-იანი დაცვა არ არსებობს. აცრის შემთხვევაში ადამიანის სიცოცხლეს ნაკლები საფრთხე ემუქრება, ასევე არის დიდი შანსი, რომ არ მოუწიოს მას ჰოსპიტალიზაცია და ა.შ. ამისთვის არის პირველ რიგში ვაქცინა და არა იმისთვის, რომ 100%-ით დაიცვას კაცი ინფექციისგან“,** — თქვა ხმალაძემ For.ge-სთან.

საუბარია იმის შესახებაც, რომ ევროპაში „სინოვაკით“ აცრილი პირი ვერ იმოგზაურებს, რაზეც ხმალაძემ აღნიშნა: **„ყოველდღე ვიღაც რაღაცას ცვლის და ამიტომ, ყველა ქვეყანას აქვს თავისი მოთხოვნილებები“,** — დასძინა მან.

ექსპერტი ჯანდაცვის საკითხებში, **აპაკი ზოიძე** For.ge-სთან ამბობს, რომ **„სივოვაკით“ აცრილები მძიმე შედეგისგან დაცულები არიან. „ნებისმიერ შემთხვევაში, მძიმე შემთხვისგან 100%-ით გვიცავს ეს ვაქცინა. ესაა, რაც ვიცით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერთა საბჭოსგან და იმ კვლევებისგან, რაც გვაქვს“,** — თქვა ზოიძემ.

რაც შეეხება ევროპაში მოგზაურობის საკითხს, ზოიძემ აღნიშნა, რომ რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ამ კუთხით, მიღებული არ არის, თუმცა, მისი თქმით, არის ქვეყნები, რომელიც კონკრეტული ვაქცინით აცრას ითხოვენ. „ესპანეთი იღებს ისეთი ვაქცინით აცრილებს, რომლებიც ავტორიზებულია ჯანმოს მიერ. შესაბამისად, ეს ეხება „სინოვაკსა“ და „სინოფარმს.“

**„ასე რომ, როდესაც ქვეყნები საზღვრებს გახსნიან, ესპანეთის გარდა, რომელმაც უკვე გახსნა, დიდი ალბათობით, იქ პისიარ ტესტით მოხვდებიან. თუმცა, ვფიქრობ, რომ „სინოვაკით“ და სინოფარმით“ აცრილებსაც მიიღებენ ეს ქვეყნები“,** — აღნიშნა ზოიძემ For.ge-სთან.

ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მისულმა მოქალაქეებმა, წინასწარ შეთანხმებულ დროს, „ასტრაზენეკას“ პრეპარატით ვაქცინაცია ვერ ჩაიტარეს. მიზეზი, ჯანდაცვის სამინისტროს განმარტებით, ვაქცინის მწარმოებელი კომპანიაა, რომელმაც საქართველოსთვის დამატებითი დოზების მოწოდება დააგვიანა. უწყებაში არ გამორიცხავენ, რომ უახლოეს დღეებში მსგავსი პრობლემა ისევ შეიქმნას, თუმცა დედაქალაქში მარაგს რეგიონებში არსებული ვაქცინებით შეავსებენ.

**„ორ კვირაში შემოვა მილიონი დოზა ვაქცინა და ჩვენ დავიწყებთ ინტენსიური ვაქცინაციის პროცესს“,** — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი ღარიბაშვილმა** საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ.

**ნიკო ჩოხელი**

# დაგაგვიანდათ, მტკიცებულებები განადგურებული იქნება!

**აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი მიიჩნევს, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ კორონავირუსის უხანის ლაბორატორიიდან გავრცელების მტკიცებულება უკვე გაანადგურა.**

აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ის თავიდანვე დარწმუნებული იყო იმაში, რომ ვირუსის გავრცელება უხანის ლაბორატორიიდან დაიწყო.

**„ჩემთვის ეს ნათელი იყო. ამას უკვე დიდი ხანია ვამბობ. მივიჩნევ, რომ ეს, სავარაუდოდ, შემთხვევითობა იყო, თუმცა არიან ისეთებიც, ვინც მიიჩნევს, რომ ეს სულაც არ იყო შემთხვევითობა“,** — აღნიშნა დონალდ ტრამპმა.

კითხვას, იქნება თუ არა წარმატებული კორონავირუსის წარმოშობის შესახებ გამოძიება, აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა უპასუხა: ასე არ ვფიქრობ, რადგან ჩინეთმა, სავარაუდოდ, უკვე გაანადგურა უამრავი მტკიცებულება.

# შვეიცარიაში ბავშვების ვაქცინაცია იწყება

შვეიცარიამ 12-დან 15 წლამდე მოზარდების სწvl3-19-ის საწინააღმდეგო საბავშვო ვაქცინაციის ნებართვა გასცა.

**„COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამ აჩვენა, რომ ბავშვები და ახალგაზრდები დაავადების მძიმე ფორმის განვითარების დაბალ რისკს მიეკუთვნებიან. ამ ასაკში ინფიცირება მხოლოდ მსუბუქი სიმპტომებით ვლინდება ან საერთოდ არ ვლინდება. თუმცა ახალგაზრდებს ასევე უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა დაიცვან თავი ვაქცინის დახმარებით“,** — ნათქვამია განცხადებაში. ამ დროისათვის შვეიცარიაში 12-დან 15 წლამდე მოზარდების ვაქცინაციისათვის მხოლოდ Pfizer-ის ვაქცინაა დამტკიცებული.

# რა მოხდა შავ ზღვაში?

## ბრიტანეთი რუსეთის ინფორმაციას უარყოფს

**ბრიტანეთის** **თავდაცვის სამინისტრო რუსული მხარის ბრალდებას უარყოფს, თითქოს ბრიტანულმა ფლოტმა რუსეთის საზღვარი დაარღვია, შემდეგ კი გამაფრთხილებელი ცეცხლი მიიღო.**

როგორც **ბრიტანული მხარე** აცხადებს, ხომალდი მოძრაობდა შავ ზღვაში, უკრაინის ტერიტირიული წყების გავლით საერთაშორისო ნორმების დაცვით. გარდა ამისა, ბრიტანეთი შეიარაღებულ ინციდენტსაც უარყოფს. კერძოდ, აცხადებს, რომ ხომალდის მიმართულებით გამაფრთხილებელი გასროლა არ განხორციელებულა.

მანამდე **რუსეთის თავდაცვის სამინისტროში** ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ დღის პირველ ნახევარში ბრიტანულმა ხომალდმა „დეფენდერმა“ რუსეთის საზღვარი გადალახა და ფიოლენტის კონცხთან ტერიტორიულ წყლებში სამი კილომეტრის სიღრმეზე შევიდა (ფიოლენტის კონცხი რუსეთის მიერ ოკუპირებულ უკრაინის ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარეობს). ამავე წყაროს მტკიცებით, რუსულმა სასაზღვრო საპატრულო გემმა გამაფრთხილებელი ცეცხლი გახსნა, შემდეგ კი რუსულმა „სუ 24 ემ“-ის ტიპის სამხედრო თვითმფრინავმა გამაფრთხილებელი დაბომბვა განახორციელა და ბრიტანული ხომალის მოძრაობის მიმართულებით ოთხი ჭურვი ჩამოაგდო, შემდეგ — 12:23 საათზე ბრიტანულმა სამხედრო ხომალდმა ინციდენტის ადგილი დატოვა.

**ინციდენტს უკრაინაში** რუსეთის აგრესიული და პროვოკაციული პოლიტიკის დასტური უწოდეს. უკრაინის საგარეო უწყების ხელმძღვანელის დმიტრო კულებას თქმით, რუსეთის ქმედებები საფრთხეს უქმნის უკრაინას და მის მოკავშირეებს. პარალელურად ცნობილი ხდება, რომ **დიდი ბრიტანეთის სამხედრო ატაშე** რუსეთის თავდაცვის სამინისტროში დაიბარეს.

# ახალი სტრატეგია იარაღის შეძენა-ტარებაზე



**აშშ-ის პრეზიდენტმა საზოგადოებას დანაშაულის პრევენციის ახალი სტრატეგია წარუდგინა, რომელიც იარაღის რეალიზაციაზე ახალ რეგულაციებსაც ითვალისწინებს. ჯო ბაიდენი „ნულოვან ტოლერანტობას“ უცხადებს ცეცხლსასროლი იარაღის იმ რეალიზატორებს, რომლებიც გამიზნულად არღვევენ კანონს და იარაღს აძლევენ ისეთი პირს, რომელსაც მისი ფლობის უფლება არ აქვს, უგულებელყოფენ აღრიცხვის ნორმებს, არ ამოწმებენ ახალი მფლობელის ისტორიას, ან აყალბებენ დოკუმენტებს. სწორედ ასეთ შემთხვევებში ალკოჰოლის, თამბაქოსა და ცეცხლსასროლი იარაღის ბიურო უკან გაიწვევს დილერის ლიცენზიას.**

პრეზიდენტის განმარტებით, უკანონო შეიარაღების 90% იარაღით მოვაჭრეთა 5%-ზე მოდის. ახალი სტრატეგიის სამიზნე გახდება ასევე ხელნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღები, რომელსაც ე.წ. მოჩვენება იარაღებად მოიხსენიებენ, რადგან ისინი არ არის აღრიცხული და რეგისტრირებული სერიული ნომრით. ასეთი იარაღის ასაწყობად დეტალები მაღაზიებში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იყიდება.

# იქნებ დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა გაუმჯობესდეს...

**გერმანიის** **კანცლერ ანგელა მერკელს სურს, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ევროკავშირის ლიდერების სამიტზე მიიწვიოს და აღნიშნულ ინიციატივას საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონიც მხარს უჭერს,** — ამის შესახებ ინფორმაციას „ფაინენშალ თაიმსი“ დიპლომატიურ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

გერმანიის კანცლერმა ევროპელ მოკავშირეებთან კონსულტაციები გამართა, რის შემდეგაც ბერლინს საფრანგეთის პრეზიდენტი და იტალიის პრემიერ-მინისტრი ესტუმრნენ. „ფაინენშალ თაიმსის“ ინფორმაციით, ბერლინში ფიქრობენ, რომ 16 ივნისს ჟენევაში ჩატარებული აშშ-რუსეთის სამიტი შეიძლება, საფუძვლად დაედოს დასავლეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობების ნორმალიზებას. ევროკავშირისა და რუსეთის სამიტები 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ შეწყდა.

# მღვდელი მიტროპოლიტებს დაერია

**საბერძნეთში** **მღვდელმა შვიდ მიტროპოლიტს მჟავა შეასხა. შემთხვევა პეტრაკის მონასტერში მოხდა, სადაც ელადის მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდი იკრიბება. როგორც მედია იუწყება, შეკრებაზე თავდამსხმელი სასულიერო პირისთვის მღვდლობის შეჩერების საკითხი უნდა განეხილათ.**

დაშავებული მღვდელმსახურები საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. ადგილობრივი მედიის ცნობით, სასულიერო პირების გარდა, დაშავდა ერთი სამართალდამცველი და კიდევ ერთი პირი, რომელიც მიტროპოლიტების დახმარებას ცდილობდა. სასულიერო პირები ჯანდაცვის მინისტრმა მოინახულა. მისი განცხადებით, ოთხი მიტროპოლიტი კლინიკაში მკურნალობას განაგრძობს, ერთს სხვა საავადმყოფოში გადაიყვანენ, სადაც მას პლასტიკური ოპერაცია ჩაუტარდება. კიდევ ორ მიტროპოლიტს კი, თვალის კლინიკაში მოათავსებენ. საქმე პირად კონტროლზე აიყვანა პრემიერ-მინისტრმა. მომხდარი დაგმო ქვეყნის პრეზიდენტმა.

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲣᲠᲘ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘ

**ᲥᲐᲚᲐᲥᲣᲠᲘ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘ ᲝᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ: ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ. ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲨᲢᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ (ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲝᲞᲔᲠᲐ) ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲡᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ (XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ). ᲛᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲐᲓ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ. ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲥ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲓᲡᲘᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲘᲢᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲮᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲮᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ. ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲨᲢᲝ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲓ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲘᲥᲪᲐ.**

ᲥᲐᲚᲐᲥᲣᲠᲘ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲨᲢᲝ, ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲰᲔᲓᲕᲘᲗ, XVII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲪᲔᲜᲓᲐ. ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲝᲓᲘᲗᲒᲐᲜᲕᲔ ᲰᲠᲝᲕᲐ ᲑᲘᲜᲐ ᲘᲠᲐᲜᲣᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲛᲐ ᲜᲐᲠᲔᲕᲛᲐ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲓᲐᲛᲠᲧᲠᲝᲗᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜ ᲮᲛᲐᲚᲡ ᲨᲔᲛᲝᲰᲧᲕᲐ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲙᲘ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲥᲐᲠᲐᲕᲐᲜᲡ. ᲛᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ 1632-38 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲠᲪ ᲔᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲰᲐᲜᲒᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ. ᲘᲒᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲗᲐ ᲧᲐᲘᲓᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲤᲔᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲟᲐᲛᲗᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲣᲠᲘ ᲙᲘᲚᲝ, ᲐᲜᲣ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲜᲘᲭᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲖᲐᲕᲘ, „ᲙᲣᲞᲐᲟᲣ“ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲐ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲣᲠᲘ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘ, ᲘᲡᲔ ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲪ ᲖᲔᲞᲘᲠᲡᲘᲢᲧᲕᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ, ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲗᲓᲐ. ᲘᲡ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ, ᲔᲒᲠᲔᲗ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ „ᲡᲝᲤᲚᲣᲠᲘ“ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲡᲒᲐᲜ. ᲛᲝᲥᲛᲔᲚ–ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲭᲠᲔᲚᲔ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ ᲤᲝᲠᲛᲐᲖᲔ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠ ᲮᲐᲚᲮᲣᲠ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲔᲛᲩᲜᲔᲕᲐ ᲐᲨᲣᲦᲣᲠᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ. ᲐᲨᲣᲦᲘ ᲗᲮᲖᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲛᲦᲔᲠᲝ ᲢᲔᲥᲡᲢᲡ (ᲮᲨᲘᲠ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲘᲛᲞᲠᲝᲕᲘᲖᲘᲖᲔᲑᲣᲚᲐᲓ), ᲣᲬᲧᲝᲑᲓᲐ ᲰᲐᲜᲒᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲕᲔ ᲛᲦᲔᲠᲝᲓᲐ. ᲘᲒᲘ ᲓᲘᲓ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲣᲗᲛᲝᲛᲑᲓᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲛᲘᲠᲝ ᲟᲐᲜᲠᲡ, ᲮᲐᲚᲮᲣᲠ ᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲓᲠᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲔᲠᲘᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲙᲐᲓᲘᲐ. ᲘᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲘᲗ, ᲣᲮᲕᲘ ᲛᲔᲚᲘᲖᲛᲐᲢᲘᲙᲘᲗ, ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲝᲑᲘᲗ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲗᲐ ᲨᲔᲠᲬᲧᲛᲐᲛ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡᲗᲐᲜ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔ ᲛᲘᲐᲜᲘᲭᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲣᲠ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲡ, ᲙᲐᲚᲝᲠᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲦᲝᲖᲕᲔᲗᲐ ᲰᲠᲝᲕᲐ. ᲐᲥ ᲡᲐ�გᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ ᲡᲐᲘᲐᲗᲜᲝᲕᲐᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ. ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲐᲡ ᲣᲬᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲔᲑᲘᲪ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ: ᲡᲐᲗᲐᲠᲐ, ᲰᲐᲖᲘᲠᲐ, ᲔᲕᲐᲜᲒᲣᲚᲐ, ᲤᲔᲠᲨᲐᲜᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲛᲘᲠᲘᲫᲔ („ᲥᲔᲨᲔᲨᲣ ᲓᲐᲠᲓᲘᲛᲐᲜᲓᲘ“), ᲡᲐᲒᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲰᲩᲐᲑᲔᲚᲘ, ᲭᲘᲞᲠ–ᲓᲐᲚᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲧᲝᲤᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲘᲭᲠᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲠᲐᲕᲔᲑᲘᲪ: ᲡᲐᲖᲘ, ᲗᲐᲠᲘ, ᲥᲐᲛᲐᲜᲩᲐ. ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲥᲐᲚᲐᲥᲣᲠᲘ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲨᲢᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲝᲒᲯᲐᲠᲑᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ, ᲙᲘᲚᲝᲠᲣᲠ-ᲘᲜᲢᲝᲜᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ, ᲛᲗᲔᲚ ᲠᲘᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲔᲑᲨᲘ, ᲛᲝᲰᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲬᲘᲚᲐᲓ ᲘᲒᲘ ᲧᲐᲠᲐᲩᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲒᲐᲠᲗᲝᲛᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲠᲝᲡᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ.

ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ, ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡ, ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ (ᲓᲐᲡᲢᲐ) ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲝᲠᲘ ᲖᲣᲠᲜᲘᲡ, ᲐᲜ ᲝᲠᲘ ᲓᲣᲓᲣᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲝᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲡ, ᲛᲔᲓᲔᲚᲝᲚᲔ ᲛᲝᲛᲓᲘᲔᲠᲐᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ. ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲧᲝᲤᲘᲗ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲔᲓᲣᲓᲣᲙᲔᲗᲐ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲐ, ᲐᲚᲒᲐᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ, ᲝᲓᲜᲐᲕ ᲡᲔᲕᲓᲘᲐᲜᲘ, ᲜᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲠᲑᲘᲚᲘ, ᲮᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ. ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲣᲓᲣᲙᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲝ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲝᲚᲝ ᲡᲐᲙᲠᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲕᲔᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚ, ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ, ᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚ-ᲡᲐᲢᲠᲗᲕᲘᲐᲚᲝ, ᲡᲐᲚᲐᲦᲝᲑᲝ, ᲡᲐᲪᲔᲙᲕᲐᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲡ. ᲛᲔ-XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲓᲐᲡᲢᲐ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲞᲔᲠᲢᲣᲐᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 30-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲛᲐ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲐᲜᲐ ᲕᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲡᲐᲙᲠᲐᲕᲔᲑᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲣᲓᲣᲙᲘ ᲓᲐᲣᲛᲐᲢᲐ. ᲐᲛᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲛᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲰᲝᲕᲐ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲡ �გᲐᲠᲔᲗ. ᲘᲒᲘ ᲓᲣᲓᲣᲙᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ.

ᲐᲜᲐ ᲕᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1900 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲡᲐᲑᲣᲔᲨᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲕᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲕᲐᲠᲔᲣᲚᲝ,ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲘᲭᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲛᲐᲛᲘᲡᲘ, ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ (ᲢᲘᲢᲔ) ᲕᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲐᲢᲘᲚᲐᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲗᲐ �გᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲡᲝᲚᲘᲡᲢᲘ ᲘᲧᲝ. ᲐᲜᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲓᲔᲓᲐ, ᲝᲚᲘᲙᲝ ᲛᲐᲜᲡᲕᲔᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ �გᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲐ. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲜᲐ ᲛᲐᲛᲘᲓᲐᲛᲘᲡᲘᲡ, ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. 1927 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲒᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲡᲓᲒᲐ ᲤᲐᲜᲓᲣᲠᲘᲗ ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ, ᲔᲚᲔᲜᲔ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ �გᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲝᲔᲢ ᲛᲐᲠᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲖᲔ. 1928–31 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲢᲣᲓᲘᲐᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲐᲓ.

ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ: ᲒᲠᲘᲨᲐ ᲥᲡᲝᲕᲠᲔᲚᲘ, ᲝᲗᲐᲠ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

1939 ᲬᲔᲚᲡ ᲨᲔᲓᲒᲐ ᲕᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲘᲡ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ, ᲛᲔᲓᲣᲓᲣᲙᲔ ᲐᲜᲡᲐᲛᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲮᲐᲩᲘᲙ ᲢᲐᲚᲒᲐᲣᲙᲝᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ. ᲛᲐᲜ ᲨᲔᲘᲡᲠᲣᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲣᲠᲘ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ. ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲒᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲕᲘᲐ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲰᲕᲔᲯᲐ.

ᲣᲙᲕᲔ 1940-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲒᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲢᲐᲚᲒᲐᲣᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ. ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲝᲚᲘᲡᲢᲘ. 1941 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲔᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲮᲐᲚᲮᲣᲠ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲡᲔᲑᲡ ᲛᲦᲔᲠᲝᲓᲐ. 1947 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲛ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲝᲚᲘᲡᲢᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ. 1941-45 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲰᲚᲔᲨᲘ, ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ, ᲥᲐᲚᲐᲥ ᲥᲚᲣᲮᲝᲠᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲡᲐᲰᲚᲨᲘ, 1949-57 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲙᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲡ�წᲐᲕᲚᲘᲓᲐ.ᲤᲐᲠᲗᲝ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲝ ᲠᲔᲞᲔᲠᲢᲣᲐᲠᲘ, �გᲐᲠᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲣᲠᲘᲡᲘᲡᲐ, ᲘᲒᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡᲐᲪ ᲛᲦᲔᲠᲝᲓᲐ: „ᲘᲐᲕᲜᲐᲜᲐ“, „ᲐᲠᲬᲘᲕᲘ“, „ᲒᲣᲗᲝᲜᲣᲠᲘ“, „ᲪᲘᲪᲘᲜᲐᲗᲔᲚᲐ“, „ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲩᲘᲢᲣᲜᲔᲑᲝ“, „ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ“, „ᲛᲝᲮᲔᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲝ ᲗᲘᲜᲐᲝ“, „ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲝ“, ᲨᲔᲜ ᲛᲔᲢᲠᲤᲘ“, „ᲛᲣᲮᲐᲛᲖᲐᲖᲘ“, „ᲙᲔᲙᲔᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲝ“, „ᲗᲐᲛᲐᲠ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ“. ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲓᲐᲜ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲗᲘᲔᲦᲐᲐ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ. ᲘᲒᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡᲐ „ᲩᲔᲛᲘ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲒᲘᲬᲝᲓᲔ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲐᲩᲘᲙ ᲢᲐᲚᲒᲐᲣᲙᲝᲕᲛᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲙᲐᲠᲚᲝ ᲙᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲖᲔ. ᲛᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ

◎ ბრძენთა თამაში

# ბელა - სამგზის!

**მოჭადრაკე ქალთა 78-ე ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული 8 შესაძლებლობიდან 6,5 ქულით დიდოსტატი ბელა ხოტენაშვილი გახდა, ვისთვისაც, 2012 და 2017 წლების მსგავსად, ეს მესამე ოქროს მედალია.**

**დანარჩენთა შედეგები:** მერი არაბიძე — 6, ნინო ბაციაშვილი, ლელა ჯავახიშვილი — 5,5-5,5, სოფიო გვეტაძე — 3,5, დიანა ლომაია, ინგა ხურცილავა — 3-3, ალექსანდრა ვახანია — 2, ელენე წოწონავა — 1 ქულა.

◎ ხუთი რგოლი

# არის 31-ე!

**ოლიმპიურ ტოკიოში წამსვლელ ქართველ ლიცენზიანტთა რაოდენობა 31-მდე გაიზარდა, საიდანაც 9 ძიუდოისტია — 7 კაცი და 2 ქალი.**

ბოლო იაპონური საგზურის მფლობელი **ტატიანა ლევიცკა-შუკვანი** (52 კგ) გახდა, რომელიც **ეთერ ლიპარტელიანს** (57 კგ) შეუერთდა.

„ჯვაროსანთა“ სრული დელეგაცია: **ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), ავთანდილ კენჭაძე, ელიზბარ ოდიკაძე, გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), რამაზ ზოიძე, ლაშა გობაძე, გიორგი მელია, იაკობ ქაჯაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), გიორგი მუჯარიძე, ლაშა ღულელაური (მძლეოსნობა), სახილ ალახვერდოვი, ესკერხან მადიევი, გიორგი ხარაბაძე (კრივი), სანდრო ბაზაძე (ფარიკაობა), ლაშა ტალახაძე, ანტონ პლესნოი, შოთა მიშველიძე, გოგა ჩხეიძე (ძალოსნობა), გოგიტა არქანია (კარატე), მარიამ იმნაძე, დავით აბესაძე (ცურვა), ნიკოლოზ ბასილაშვილი (ჩოგბურთი).**

◎ ოკეანის გაღმა

# რეკორდი, რეკორდი!..

**ერთმანეთის პარალელურად მიმდინარე ევრო — 2020 და კოპა ამერიკა თანამედროვეობის საუკეთესო ფეხბურთელთა მიერ დამყარებულმა მორიგმა რეკორდებმა დაამშვენა.**

განსაკუთრებით აღსანიშნავია **კრიშტიანუ რონალდუს** მიღწევა, რომელმაც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე გატანილი ბურთების ჯამური მაჩვენებელი 21-მდე აიყვანა და გერმანელ კლოზეს გაუსწრო. გარდა ამისა, ფრანგებთან ჯგუფური რაუნდის ფინიშზე შესრულებული დუბლის შემდეგ პორტუგალიის ნაკრებში მისმა პირადმა მონაგარმა 109-გოლიან ნიშნულს უწია, რაც ირანელი ალი დაეის ნადავლის ტოლია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მალევე, ადვილი შესაძლებელია მიმდინარე ფორუმზევე, იგი დასახელებულ ნომინაციაშიც ერთპიროვნულად დაწინაურდება.

რაც შეეხება ოკეანის გაღმა განვითარებულ მოვლენებს, თავი არც **ლეო მესის** შეურცხვენია, ვისთვისაც პარაგვაისთან 1:0 მოგებული მატჩი არგენტინის ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული 147-ე შეხვედრა იყო ისევე, როგორც უკვე კარიერადამთავრებული ხავიერ მასკერანოსათვის. ასე რომ, უახლოეს თამაშში დასახელებული რეკორდიც დაემხობა.

დასასრულს, იმ წყვილების შესახებ, რომლებიც ძველი სამყაროს სტადიონებზე ამ დღეებში კონტინენტის პირველობის მერვედფინალურ პლეი-ოფში იბრძოლებენ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

**26 ივნისი**

**უელსი — დანია.** ამსტერდამი. 20 საათი.

**იტალია — ავსტრია.** ლონდონი. 23 საათი.

**27 ივნისი**

**ნიდერლანდები — ჩეხეთი.** ბუდაპეშტი. 20 საათი.

**ბელგია — პორტუგალია.** სევილია. 23 საათი.

**28 ივნისი**

**ხორვატეთი — ესპანეთი.** კოპენჰაგენი. 20 საათი.

**საფრანგეთი — შვეიცარია.** ბუქარესტი. 23 საათი.

**29 ივნისი**

**ინგლისი — გერმანია.** ლონდონი. 20 საათი.

**შვედეთი — უკრაინა.** გლაზგო. 23 საათი.

◎ ცხელი ზაფხული

# რა დროს დასვენებაა...

**კოვიდპანდემიის, საზაფხულო არდადეგებისა და გახურებული ევროპის ჩემპიონატის მიუხედავად, ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების საშვილიშვილო პროცესის ფლაგმანში — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთი წუთითაც არ შეჩერებულა სპორტული ცხოვრება.**

ამჯერად მედიკოსთა სამჭედლომ სახელოვანი ფეხბურთელების — **რევაზ ძოძუაშვილისა** და **თენგიზ სულაქველიძის,** აგრეთვე დედაქალაქის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიების მსაჯის **ავთანდილ კოკაიას** სახელობის საინტერესო ტურნირს უმასპინძლა სტუდენტთა 10 გუნდის მონაწილეობით. ფინალში „პირველმა მერცხალმა“ 3:2 სძლია „ზესტაფონს“, ხოლო მესამე პრიზიორი „ვესტა“ გახდა.

ჩემპიონთა შემადგენლობა: **მირიან ჯაფიაშვილი** (საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი 12 გოლით), **დავით უბილავა** (საუკეთესო მცველი), **დავით სულხანიშვილი** (ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი), **მერაბ საძაგლიშვილი, გიორგი მერზლიაკოვი** და **ლუკა მარხულია.** რაც შეეხება საუკეთესო მეკარეს, ასეთად **თორნიკე ფუტკარაძე** („ზესტაფონი“) დასახელდა.

დავძენთ, რომ ამ დაუვიწყარი ღონისძიების მაღალ დონეზე ორგანიზება, ტრადიციისამებრ, წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის შემდეგ მესვეურთა დამსახურებაა: რექტორი — პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია,** ვიცე-რექტორი — პროფესორი **ირაკლი კოხრეიძე,** კანცლერი — პროფესორი **ზურაბ ორჯონიკიძე,** კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ურთიერთობის სამსახურის უფროსი **მიხეილ დიაკონიძე,** სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი **ანა კაკაბაძე,** თსსუ-ს სპორტის ცენტრის დირექტორი **ზაურ ფხალაძე** და ამავე ცენტრის თანამშრომელი, თსსუ-ს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, აღნიშნული ტურნირის მთავარი მსაჯი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე **ვახტანგ ბაქანიძე.**

სხვათა შორის, დაჯილდოების ცერემონიალში „აქტიური მონაწილეობა“ მიიღეს ბატონი ვახტანგის ტყუპმა შვილიშვილებმა — **დემეტრე** და **ვატო ფუტკარაძეებმა.**

◎ მატება

# დროის ყაიდრი

**რვაგზის ოლიმპიურმა და 11-გზის მსოფლიო ჩემპიონმა უსაინ ბოლტმა შთამბეჭდავი მძლეოსნური კარიერა 2017 წელს დაასრულა, თუმცა, დროს უქმად არ კარგავს და იამაიკის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე ზრუნავს.**

34 წლის ლეგენდამ და მისმა გულისსწორმა კასი ბენეტმა ქალიშვილ ოლიმპიას ამ დღეებში ტყუპი ძამიკოები — ლეო და ტანდერი „აჩუქეს“, რაც ინსტაგრამზე ასახეს კიდეც.

სულთათანა

# გამოჩენილი მეცნიერი და გამორჩეული შემოქმედი

ქართულმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა – 23 ივნისს გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და მრავალმხრივი შემოქმედი – პოეტი, დრამატურგი და მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელი, აკადემიკოსი **გუჩა კვარაცხელია**.

დაიბადა 1940 წლის 2 ოქტომბერს თბილისში. 1958 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, 1963 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველურ ენათა განყოფილება, 1966 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა.

1967 წელს გ. კვარაცხელიამ მუშაობა დაიწყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში; სხვადასხვა დროს იყო ამ განყოფილების უმცროსი, უფროსი და წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, წლების განმავლობაში – განყოფილების ხელმძღვანელი.

1970 წლიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას: იყო ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, მისი პროექტით შექმნილი არაქართველთათვის ქართული ენის სწავლების სამეცნიერო-პრობლემური ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

1993-2006 წლებში გ. კვარაცხელია მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად, ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ხარისხების მიმნიჭებელ საბჭოს. იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, განათლების სამინისტროს ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საკოორდინაციო საბჭოს წევრი და სხვა არაერთი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი.

ფრიად ნაყოფიერი იყო გ. კვარაცხელიას 60-წლიანი მოღვაწეობა სამეცნიერო ასპარეზზე. 1986 წელს მის მიერ დაცული საკანდიდატო დისერტაცია „მეტყველების სტილის სტატისტიკური ანალიზი (ქართული ენის მასალაზე)“ შეფასდა როგორც **ნოვატორული ნაშრომი**, მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი პირველი დისერტაცია მათემატიკური ლინგვისტიკის დარგში.

1968 წელს გ. კვარაცხელიამ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სამეცნიერო და საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ფუნქციური სისტემები“. ეს იყო უხვ ემპირიულ მასალაზე დამყარებული პირველი ფუნდამენტური გამოკვლევა ქართული ენის ფუნქციური სტილების შესახებ. ნაშრომი გამოირჩევა ორიგინალური თეორიული დებულებებით, რომლებიც, ერთი მხრივ, ქართული ენის კვლევის **ახალ ასპექტებს წარმოაჩენენ**, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია **ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით**.

აკად. გ. კვარაცხელიას ეკუთვნის 200-ზე მეტი ნაშრომი, რომლებშიც ქართული ენის აგებულების, სალიტერატურო ენის თეორიისა და ზოგადი ენათმეცნიერების მრავალი საკვანძო საკითხია განხილული.

ლინგვისტური კვლევის ძირითადი სფერო, რომელშიც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა აკად. გ. კვარაცხელია, არსებითად შეიძლება დახასიათდეს როგორც **ლინგვოსტილისტიკა** ამ სიტყვის ყოვლისმომცველი მნიშვნელობით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მეცნიერის ორი ფუნდამენტური მონოგრაფია – „ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა“ და „მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები“.

პირველი მათგანი **პიონერული ნაშრომია** ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში; მასში მდიდარი ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ფართოდ და საფუძვლიანადაა გაშუქებული სხვადასხვა ფუნქციური სტილი, წარმოდგენილია მათი სისტემური შეპირისპირებითი კვლევის შედეგები ინტერპერსონალური და მასობრივი სამეტყველო კომუნიკაციების მიხედვით. განსაზღვრულია თითოეული ამ სტილის ფუნქციონირების სფერო და ექსტრალინგვისტური ფაქტორების როლი სტილებრივ დიფერენციაციაში. წმინდა თეორიულ-შემეცნებითი ღირებულების გარდა, მონოგრაფიას აქვს უდავო პრაგმატული მნიშვნელობაც, რამდენადაც ითვალისწინებს არა მარტო ენის სპეციალისტებისა და სტუდენტთა ინტერესებს, არამედ პრესის მუშაკთა პროფესიულ ინტერესებსაც.

მეორე მონოგრაფიაც, პირველის მსგავსად, პრობლემის **განზოგადებული გააზრების თვალსაზრისით**, შეიძლება ითქვას, **უპრეცედენტო მოვლენაა** ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში. ნაშრომში პირველადაა მოცემული მხატვრული ენის მეცნიერულად შემსწავლელ დისციპლინათა შემეცნებითი ხერხებისა და საშუალებების კრიტიკული ანალიზი. ავტორი განსაზღვრავს პოეტური მეტყველების სხვადასხვა კონცეფციის ლინგვისტიკაზე ორიენტირებულ მეთოდოლოგიურ მიმართულებებს. მხატვრული ტექსტის თვისებრივ მახასიათებლებთან ერთად წარმოდგენილია კვლევის რაოდენობითი, სტატისტიკური მახასიათებლებიც. ნაჩვენებია ალბათურ-სტატისტიკური მეთოდებით მხატვრული მეტყველების კვლევის თეორიული და გამოყენებითი მნიშვნელობა ფილოლოგიური მეცნიერებისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ აკად. გ. კვარაცხელია ახალი სამეცნიერო მიმართულების – **ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკის ფაქტობრივი ფუძემდებელია**.

აკად. გ. კვარაცხელია ფართო დიაპაზონის მკვლევარი იყო, რომელიც ავტორია ფრიად საყურადღებო ნაშრომებისა ენათმეცნიერების თეორიასა და ისტორიაში, მათემატიკურ ლინგვისტიკასა და ენის სტატისტიკური მეთოდებით კვლევის სფეროში. მან შეისწავლა ისეთი საკითხები, როგორებიცაა ადამიანისა და ენის, ენისა და აზროვნების, ბუნებრივი ენისა და ფორმალური სისტემის ურთიერთმიმართება, სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისა და ფუნქციონირების თეორიული საკითხები, კომუნიკაციის თეორიისა და სხვა მეცნიერულად აქტუალური ზოგადლინგვისტური პრობლემები.

აღსანიშნავია აკად. გ. კვარაცხელიას სტატიათა ციკლი, რომელიც ეძღვნება შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ანა კალანდაძის შემოქმედებას. ეს გამოკვლევები ინტერდისციპლინური ხასიათისაა. ისინი ბევრი სიახლის შემცველია როგორც მეთოდის, ისე შედეგთა თვალსაზრისით.

აკად. გ. კვარაცხელია იყო დიდი დამფასებელი ქართული მეცნიერების კლასიკოსთა შემოქმედებისა. ამის ნიმუშად გამოდგება მისი დამოკიდებულება აკად. არნ. ჩიქობავას მიმართ, რომლის შემოქმედების ღრმა ანალიზი წარმოადგინა მის მიერ მომზადებულ წიგნსა და არაერთ სტატიაში.

აკად. გ. კვარაცხელია სამეცნიერო კადრების აღზრდის აქტიური მონაწილე იყო. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია იყო დაცული.

აკად. გ. კვარაცხელიას შემოქმედება მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომებით არ შემოიფარგლება. ქართველი მკითხველისთვის ის ცნობილია როგორც პოეტი და დრამატურგი, მრავალი საინტერესო პოეტური და დრამატული კრებულის ავტორი. მან, როგორც მხატვარმა, სპეციალისტებისა და ხელოვნების მოყვარულთა დიდი ყურადღება დაიმსახურა.

ცალკე უნდა აღინიშნოს გ. კვარაცხელია როგორც მოქალაქე და კეთილგანწყობილი ადამიანი, საზოგადოებრივ საკითხებში პრინციპულობით გამორჩეული პიროვნება, ის შეუპოვრობა, რასაც ის მეცნიერების ინტერესების დაცვისას იჩენდა. ამავე დროს, ის იყო სამაგალითო მეუღლე და დედა, ხუთი საუცხოო შვილის აღმზრდელი, ერთგული, უღალატო მეგობარი.

წავიდა ჩვენგან დიდებული ქალბატონი – აკადემიკოსი გუჩა კვარაცხელია, მაგრამ მისი სახელი სამუდამოდ ჩაიწერა როგორც ქართული მეცნიერების ისტორიაში, ისე ქართული საზოგადოების მეხსიერებაში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,**

**არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი**

## კარლ ჰარცელი იმერეთს ეწვია



**ევროკავშირის ელჩი საქართველოში, კარლ ჰარცელი, საქართველოს რეგიონებისთვის ევროკავშირის მიერ გაწეული მხარდაჭერის წარმოსაჩენად იმერეთს ეწვია. ინფორმაციას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ავრცელებს.**

იმერეთში ვიზიტისას, ელჩი ევროკავშირის მხარდაჭერით 2020 წელს შექმნილ წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფს (LAG) შეხვდა. წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა მოახერხა ადგილობრივი თემის მობილიზება და მხარი დაუჭირა არაერთ სოციალურ და ეკონომიკურ ინიციატივას სოფლად ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. ევროკავშირის დახმარებით წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა შეიმუშავა ადგილობრივი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და ჩაატარა საგრანტო კონკურსის ორი რაუნდი, რომლის შედეგადაც დღევანდელი მდგომარეობით დაფინანსებულია 20 ინიციატივა ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, სოციალური საკითხები, კულტურა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობის საკითხები.

ელჩი ჰარცელი ასევე შეხვდა იმ ადგილობრივი ინიციატივების წარმომადგენლებს, რომლებმაც ევროკავშირის დაფინანსება მოიღეს. მათ წარმოადგინეს საკუთარი ნაწარმი: თაფლი, ღვინო, პური, თექის ნივთები, და სხვ. წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფში გაერთიანებულია 230 ადამიანი. იგი ერთ-ერთია ევროკავშირის მიერ საქართველოში მხარდაჭერილი 12 ადგილობრივი განვითარების ჯგუფიდან.

## გერმანიის მთავრობამ საქართველოს 24 მლნ ევრომდე გრანტი გამოუყო

**გარემოსდაცვითი** პოლიტიკის გასაძლიერებლად **გერმანიის მთავრობამ საქართველოს 24 მლნ ევრომდე გრანტი გამოუყო,** – ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული გრანტი ნაწილდება სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოზე.

**„საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, კლაუს ფაიგელმა საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის, ხელი მოაწერეს საგრანტო ხელშეკრულებას „ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში“, რომლის საფუძველზეც ქვეყანა 24 მლნ ევრომდე მოცულობის გრანტს მიიღებს.**

**ხელმოწერის ცერემონიის დაწყებამდე სტუმრებს მიმართეს და საქართველო-გერმანიასშორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, ჰუბერტ ქნირშმა.**

## ალეკო ელისაშვილი: გარდაცვლილი პენსიონერის ოჯახს ბანკი კრედიტის დაფარვას არ მოსთხოვს

ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა.

**„გარდაცვლილი პენსიონერის ოჯახს არ მოსთხოვს ბანკი კრედიტის დაფარვას და თუ ვინმეს მოსთხოვენ, დაგვიკავშირდნენ და ჩვენ ვიქნებით შუამავალი „ლიბერთი ბანკთან“. მეორე – თუ ჰყავთ ისეთი თავდები პენსიონერებს, რომელთაც აქვთ დასაბუთებული შემოსავალი, ბანკი მზად არის არა 36% პროცენტში, არამედ გაცილებით ნაკლებ პროცენტში მისცეს სამომხმარებლო სესხი. მესამე ძალიან მნიშვნელოვანი – ბანკი მზადაა პენსიონერებს, რომელებიც თვიდან თვემდე 50-70 ლარს იხდიან და ეს მათთვის ძალიან მძიმეა, გაუგრძელოს კრედიტის ვადა და შესაბამისად, შემცირდეს ეს გადასახდელი თანხა“,** – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

◎ ავოიეეე!

# პირი კარგად გამოირეცხეთ!

**შარო, საიდან მოდიხარო, ისეა ბნელეთის მოციქულთა — ნაციონალური კოშმარის ადეპტთა და მათ რუპორად „მოღვაწე“ ტელეკანალიზაცია „მთავარი არხის“ შხამის ფაბრიკის ჭურნალისტთა საქმე.**

ამჯერად საუბარია სადეზინფორმაციო გამოშვებაში 22 ივნისს გასულ სიუჟეტზე, რომელიც ნიანგის ცრემლების ღვრით გვაუწყებდა, რომ თურმე წალკის რაიონში საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთათვის ტრადიციული ბანკეტის ნაცვლად ადგილობრივ მუნიციპალიტეტს კულტურული ღონისძიება გაუმართავს და მასში მონაწილეობისთვის მიწვეული პოპულარული ანსამბლის — „ქუჩის მუსიკოსებისთვის“ სამხარეო ბიუჯეტიდან 15 000 ლარი გამოუყვია.

მაშინ, როცა მოსახლეობა შიმშილობს და აღნიშნული თანხით არაერთი სოციალურად დაუცველის დაპურება შეიძლებოდა, რა კონცერტი აგიტყდათო — ყალბ განგაშს ტეხდა ყოველგვარი შემეცნებითისგან დაცლილი ხალხზე ვაიმზრუნველთა ბრიგადა და ისრებს ხელოვნების ჭეშმარიტ ქურუმთა — „იუმორინას“ განუმეორებელი პროგრამების სულისჩამდგმელთა — მამა-შვილ ჯემალ და გია ბაღაშვილებისკენ მიმართავდა.

თქვე ერთუჯრედიანებო! უპირველესად, გაიხსენეთ, თქვენი ზეობის 9-წლიან პერიოდში რამდენი ასეთი 15 ათასი გადაგიყრიათ საკუთარი ამოუვსები სტომაქის პატივსაცემად, თუნდაც იმ დღეებში, როცა თქვენი ფიურერის ახირების გამო ქვეყნის საპარლამენტო დედაქალაქ ქუთაისსა და პოლიტიკურ დედაქალაქ თბილისს შორის გადებულ ტრასაზე შარაგზის ყაჩაღებივით დაძრწოდით და არც იმერულ პურმარილს იკლებდით და არც ქართლის მენიუზე ამბობდით უარს.

კეთილი ინებეთ და გვიპასუხეთ, თქვე მართლა კეთილმოსაკითხებო — მაშინ ვინ გიშლიდათ, სახელმწიფო ფინანსური რესურსები თქვენივე გაუმაძღრობითა და ფასადური ეკონომიკური რეფორმებით გაღარიბებული რიგითი მოქალაქეებისთვის გაგემეტებინათ?

რა თქმა უნდა, ამ კითხვას უპასუხოდ დატოვებთ, მაგრამ სამაგიეროდ მე გაგიშიფრავთ, რა კუჭის გვემამ გიკარნახათ მორიგი ფუყე, ობივატელის მენტალიტეტზე გათვლილი პიარ-ტექსტის შეთხზვა: დიახ, საყოველთაოდაა ცნობილი, რომ, ჯერ კიდევ ლეგენდარული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის — „ივერიას“ ეპოქიდან მოყოლებული, მის სულმნათ თავკაც ალექსანდრე ბასილაიათი დაწყებული და სწორედ მამა-შვილი ბაღაშვილებით გაგრძელებული, ისინი არცერთი ხელმწიფის ნავში არ ჩასკუპებულან, თქვენივე იდეურ თანამოაზრე ფსევდოვარსკვლავთაგან განსხვავებით, ეს კი დღემდე ვერ მოგინელებიათ. აი, სწორედ აქ იმალება ძაღლის თავი, ანუ ძველი აქსიომა — ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია, ოპონენტთა როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური განადგურება კი თქვენივე ხელწერაა და არასოდეს გეშლებოდათ.

აღარაფერს ვამბობ ისეთ უტყუარ პოსტულატზე, როგორიცაა პრაქტიკაში არაერთგზის დამტკიცებული თეორემა, რომ ვერანაირი ასიგნაცია ვერ შეედრება მომავალი თაობისთვის ნაღდი შემოქმედებითი შედეგრებით მიწოდებული სულიერი საზრდოს საზღაურს.

**ასე რომ, დასკვნა თავად გააკეთეთ.**

**გია პლატონიშვილი**

## სახელმწიფოს ერთგული ჯარისკაცი

**ასე შეიძლება ვუწოდოთ ომარ კაჭარავას, კაცს, რომლისთვისაც სამშობლოსა და საქმის სიყვარული უპირველესია. პურპროდუქტების დარგის პროფესიონალს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, ღირსების ორდენოსანს, შესანიშნავ მეოჯახეს 80 წელი შეუსრულდა.**

**მისი ცხოვრების წესად იქცა არჩეული პროფესიისადმი სიყვარული და ერთგულება, რიგითობიდან გენერალურ დირექტორობამდე და სამინისტროს ხელმძღვანელობის მრჩევლამდე განვლილი გზა უამრავი ქარტეხილებით იყო სავსე — ყველა პრობლემამ, რომელიც ჩვენ ხალხს შეხვდა რთული პოლიტიკური ვითარებების გამო, მის მხრებზე გადაიარა, რასაც ვაუკაცურად გაუძლო. დღესაც ღირსეული პიროვნება, ჩვეული პროფესიონალიზმით უზიარებს გამოცდილებასა და ცოდნას ახალგაზრდებს. გილოცავთ იუბილეს!**

**საუკეთესო სურვილებითა და დიდი პატივისცემით:**

**რესან კონცელიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, იური ოსიპოვი, მალხაზ დოლიძე, ლევან ჯიბუტი, სპარტაკ გოგინავა, თამაზ ნავროზაშვილი, ოთარ ჭავჭანიძე, ნუგზარ კახაია, ნისან იოსებაშვილი, შაძრო ბაკურაძე, თენგიზ ბაზერაშვილი.**

**ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!**

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

## „მონანიება“ კვლავ კანის კინოფესტივალზე წარსდგება

**თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“ კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე 34 წლის შემდეგ ბრუნდება. ამჯერად ფილმი წარმოდგენილი იქნება სექციაში „კანის კლასიკა“, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ავრცელებს.**

„მონანიების“ მსოფლიო პრემიერა კანში 1987 წელს გაიმართა. ფილმმა კინოფესტივალის 3 ჯილდო მოიპოვა — ჟიურის „დიდი პრიზი“, „ფიპრესის“ ჯილდო და კათოლიკური ეკლესიის ჟიურის პრიზი ჰუმანიზმისათვის. 1988 წელს „მონანიება“ ნომინირებული იყი „ოქროს გლობუსზე“ საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში. ფილმში მთავარ როლებს ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავები ასრულებენ.

**კანის კინოფესტივალი ფილმებს აჩვენებს უმაღლესი ხარისხის ციფრული ფორმატით, ამიტომ ეროვნულმა კინოცენტრმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით 2020 წლის იანვარში დაიწყო ფილმის აციფვრა-რესტავრაცია. შესასრულებელი სამუშაოების კომპლექსურობის გათვალისწინებით, ფილმის სკანირება განხორციელდა პრაღაში, ჩეხური სტუდია UPP-ის მიერ** (Universal Production Partners Prague), **ხოლო ე.წ. გრეიდინგი, ფერის და ხმის დამუშავება განხორციელდა საქართველოში, სტუდია „ფონოგრაფის“ მიერ პაატა გოძიაშვილის ხელმძღვანელობით.**

**სექცია „კანის კლასიკა“ 2004 წლიდან არსებობს და იგი კინოფესტივალის სტუმრებს მსოფლიოში გამორჩეული, ლეგენდარული რეჟისორების ძველ ფილმებს სთავაზობს, რათა კიდევ ერთხელ მოხდეს ამ ნამუშევრების ხელახალი აღმოჩენა“,** — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 28 ივნისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.1549; ევრო - 3.7695;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4055;
100 რუბლი - 4.3435; თურქული ლირა - 0.3659;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8587;
1000 სომხური დრამი - 6.1672.

**ამინდი 25 ივნისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +16, | დღე | +38 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე | +36 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +18, | დღე | +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +15, | დღე | +32 |
| თბილისი: | ღამე | +20, | დღე | +37 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge